

თენგიზ ცაცხლაშვილი

ადიფიკციის

ქანს

თენგიზ ცაცხაშვილი

უმეორობის ყამს

პოემა

„ქართული წიგნი“
თბილისი
2003 წელი

ვუძღვნი დიდი ილია ჭავჭავაძის ნათელ სსოვნას

„ერი თავის გმირების ცხოვრებით და
მაგალითებით უნდა ჯსუღდგმულაბდეს- თუ
მართლა ერობა ჯსურს და აგრეც არის- საცა ერი
ერობს...“

ილია ჭავჭავაძე

გვირგვინოსანთა ნამოღვაწარით
ქართულმა გენმა ბევრჯერ იხარა,
კრწანისის შემდეგ ბედის სასწორი
ისევ მგრისაკენ გადაიხარა.

დახმარების წილ სამშობლო ჩვენი
რუსმა გაიყო, ვითარც არჩივი,
წაგვართვა გახგი, ორ ლომის ნაცვლად
ღერბად გვიქცია ბასრი არწივი.¹

ამ მხრივ მონღოლსაც გაუსწრო რუსმა
ვინც გვიჭედებდა საყდრებზე ლურსმანს,²
რწმენის ერთობა გვეგონა მხსნელი,
თუმც დაგვიყენა ღრო-ქამი ძნელი.

რას იფიქრებდა პაგარა კახი
რუსს შეიძენდა მჩაგვრელის სახით.

1 იგულისხმება 1800 წლის 22 დეკემბერი, როდესაც მოეწერა ხელი რუსეთთან ქართლ-კახეთის შეერთების მანიფესტს.

2 იგულისხმება მონღოლთა ბატონობის დროს დავით VI ნარიის (1247-1293 წ.წ.) და დავით VII ულუს (1247-1270 წ.წ.) მეფეებად დანიშვნა.



და საქართველოს თავს მოახვია
რუსმა თავისი წესი – ადათი,
დაჰყო მამული ოლქებ-მამრებად,
დავკარგეთ ძველი პეწი, ლაზათი.

ეს არ იკმარა თვითმპყრობელობამ
მრავალწლოვანი თავისუფლება
ჩვენს ეკლესიებს სულ ჩამოართვა³
და რუსთ სინოდმა დაიწყო მართვა.

მეფე გიორგის დაკრძალვის შემდეგ
სიონის ტაძარს შეკრიბეს მრევლი,⁴
რუსთა მანიფესტს მიერთებაზე, –
თუმც შეხვდნენ ბევრნი კრულვით და წყევლით.

და ერთმა ჯგუფმა კახელთ თავადთა
ფიცია არ დადო ერთგულებაზე,
გაარღვიეს რა რუსთ ჯარის ალყა
ცხენი მიუშვეს თავის ნებაზე.

ქელმენჩურს მყოფმა მხნე თავადებმა
მეფედ იულონ გამოაცხადეს,⁵
ამის დასტური წერილიც უმაღ
რუსეთს მისწერეს – თვით ალექსანდრეს.

არ დააყოვნა სანკტ-პეტერბურგმაც,

³ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა 1811 წელს. კათალიკოსი ანტონ II რუსეთში გაიწვიეს.

⁴ ქართლ-კახეთის თავადობას და არისგოკრატიას მანიფესტი გააჩნეს 1802 წლის 12 აპრილს.

⁵ 1802 წელს სოფელ ქელმენჩურში კახელმა თავადებმა და აზნაურებმა საქართველოს მეფედ იულონ ერეკლეს ძე გამოაცხადეს და იმპერატორ ალექსანდრეს სათანადო წერილიც გაუგზავნეს.

სასწრაფოდ კახეთს გაგზავნა ჯარი,
ამაგრეს ქართლიც, კავკასიაში
მათ მმართველობას არ აჩნდა ბზარი.

ვერცა იულონ, ვერცა ფარნაოზ⁶
თავს ვერ დაეცნენ რუსს იმერეთით,
ალექსანდრემაც თუმცა იცდილა
ვერ აღიღვინეს მათ გახტი მკვდრეთით.

ბატონიშვილებს მხარს ედგნენ მედგრად
უშიშარი და ბრგე თავადები,
ანდრონიკაშვილ-ვაჩნაძეები,
ჭავჭავაძენი, ჯანდიერები.



და ამის შემდეგ „უფროსმა მოძმემ“
ჩვენს მიწა-წყალზე ჩამოასახლა
სომეხ-ბერძენნი და გერმანელები;
მაღე რუსებით ქართლიც დასახლდა.⁷

მოსახლეობა სამცხე-ჯავახეთს

6 ივლისსმება ფარნაოზ ერეკლეს ძე და ალექსანდრე ერეკლეს ძე.

7 პირველი დემოგრაფიული ექსპანსია (ჩამოსახლება) საქართველოში განხორციელდა 1803 წელს, როდესაც საქართველოს მთავრსარდალმა ერეკლეს სახანოდან შემოიყვანა და გფილის და ქვემო ქართლში დაასახლა თერთმეტი ათასი სომეხი.

1818 წელს საქართველოში შემოიყვანეს 500 გერმანელი კოლონისტის ოჯახი. მათ უფასოდ გამოუყვეს საუკეთესო მიწები და აღმოუჩინეს უნანსური დასმარება.

1828-1829 წლებში თურქეთთან ომში გამარჯვების შემდეგ რუსეთის შემადგენლობაში გადავიდა სამცხე-ჯავახეთი. თურქეთში გადახვეწილი ქართველების ნაცვალად მათ მიწა-წყალზე თურქეთიდან შემოსული 30 ათასი სომეხი ჩაასახლეს. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სომეხთა ჩასახლება შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა.

1829-1831 წლებში ზემო ქართლში დაასახლეს ბერძენთა და სომეხთა 14 ათასი კომლი. რუსეთი საქართველოში დიდი რაოდენობით ასახლება სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ რუს ჯარისკაცებსა და ოფიცრებს შეიქმნა საქართველოში რუს სამხედროთა დასახლებები (სოფლები).

მუდმივ საცხოვრებლად შემოჰყავდათ სექტანტები (სტაროვერები და ლუხოზორები).

რუსმა ჩააგლო მძიმე განსაცდელს
და აიძულეს თურქეთს გადასვლა,
მოუხმეს სომეხთ – ვითარც დასაყრდენს.

იცოდა რუსმა მათ მაშველ ძალად
აქ იქნებოდნენ უცხოტომელნი,
სადავეები ჩაიგდეს ხელში,
სძულდათ ქართველნი – მათი მგმობელნი.

შემწყნარებელმა ქართველმა ერმა
სხვა მოდგმის ხალხი მიიღო მკვიდრად,
თუმცა ასეთი წყალობისათვის
ვერ ჩავთვლით ჩვენს თავს ყოველთვის მდიდრად.

იმის მაგიერ, რომ გვერდში გვედგნენ,
ერთად ვიბრძოლოთ საერთო მტერთან,
მოგმა ბურგს უკან ჩაგვცა ლახვარი,
უნდათ ზიარი გაგვხადონ მტკვერთან.



რუსთ ბატონობის პირველივე წლებს,
სადაც სამხედრო გზა გადიოდა,
არაგვის ხევის მოსახლეობას
რუსთ მარწუხებში სისხლი სდიოდა.

რუსთა ლაშქარი განუწყვეტელად
კავკასიისკენ რაკი ვიდოდა,
გზა შეკეთებას საჭიროებდა
და ქანცგასაწყვეტ შრომას ითხოვდა.
ამას დაერთო სურსათ-ხორაგით

დიდძალი ჯარის მომარაგება,
სამხედროთა მხრივ დიდ თვითნებობას
აქ განიცდიდა მოსახლეობა.

რუსთ ჯარისკაცნი და ოფიცრები
შეურაცხოვნენ გლეხების ქალებს,
ორი მათგანი უღელს შეაბეს,
ღიმილით მზერდნენ მათ განჯულ თვალებს.

მათ ოცდასამი კაცი აწამეს,
დაუნდობელად ცემაში მოჰკლეს,
ამაყმა ქართლმა ვერ აიტანა
თავს დარწეული ხმალი დამოკლეს.⁸

აჯანყებულებს გვერდით დაუდგნენ
თრუსოს ხეობის ოსთა სოფლები,
ფშავე-ხევსურები სტეფანაწმინდის,
ხანდოს ხეობის, ჭართლის მცხოვრებნი.

ხალხის გამოსვლებს მეთაურობდნენ
ნაზლაიძე⁹ და შიო ბურდული,
ბაგონიშვილნი იმერეთიდან
გამომემართნენ, ვითარც შერდულნი.

თუმც იულონი დააპატიმრეს,¹⁰
ფარნაოზი კი კახეთს ჩავიდა,
უმალ თავადნი შემოიერთა
და მათთან ერთად ქართლს გადავიდა.
ერთხანს იმპლავრეს რუსთ ნაწილებთან,

8 ქართლის განაწამები მთიანეთი აჯანყდა 1804 წლის მაისში.

9 იგულისხმება ლევან ნაზლაიძე.

10 1804 წელს რუსეთში გადაასახლეს იულონი და ფარნაოზ ბაგონიშვილები. იგივე ბუდი გაიზიარეს ბაგონიშვილთა სამეფო სახლის სხვა წარმომადგენლებმაც, როგორც ქართლ-კახეთში, ისე იმერეთში.

სამხედრო გზაც კი ჩაიგდეს ხელში,
თუმც ღამატებით ძალებით რუსმა
აჯანყებულნი გატეხა წელში.

ციციანოვის მეთაურობით
თანამომქმენი სასტიკად სძლიეს,
თავადები და ბაგონიშვილნი
რუსეთს დილეგში გამოამწყვდიეს.

ბაგონიშვილთა საგვარეულო
შორს – პეტერბურგში გახვეწეს უმაღ,
რუსთ გენერალი ხანჯლით განგმირა
დედოფალ ძლიერ დაუხვდა „სტუმარს“.

ძალდატანება არ აპაგია,
მტერმა ბოლომდე ველარ იხარა,
მხნე მარიამმა¹¹ – ქვრივმა მეფისა
მომხდურზე ჯაფრი ასე იყარა!

ქართლ-თიანეთის ბრძოლებმა ცხადჰყო,
რომ ჩვენს ეროვნულ სულისკვეთებას
მეფის რუსეთი ვერ ღამარხავდა
ვერ ასცდებოდა ხმალთაკვეთებას.



საქართველოსთვის გააფთრებული
ებრძოდა რუსეთს სპარსი-ოსმალი,¹²
სამმხრივ ბრძოლაში გამარჯვებული

¹¹ ქართლ-კახეთის მეფის ვიორგი XII მეუღლე.

¹² იგულისხმება 1806-1813 წწ. რუსეთ-სპარსეთის შავი ღვილი 1813 წლის ოქტომბერში გულისგანს. სპარსეთმა საქართველო რუსეთის განუყოფელ საკუთრებად სცნო.

კვლავ გამოვიდა რუსული ხმალი.

თუმც შერკინებით გადაიღალა,
ამოეწურა ბრძოლის მარაგი,
იძულებული გახდა თურქისთვის
დაეთმო ფოთი, ახალქალაქი.

საქართველოდან რუსეთის გასვლას
ითხოვდა ამ ღროს ირანის შაჰიც,
და საფრანგეთიც შაჰს აქემებდა –
სურდა მოეწყო მათ შორის ჯახი.

იმ ღროისათვის მოსახლეობა
საქართველოში მკვეთრად შემცირდა,
შინაშლილობით, ურთიერთმტრობით
მდგომარეობა მეტად დამძიმდა.

და რა იხილეს სამთავროები
კვლავინდებურად თავისთვის იდგნენ,
სოლომონ მეფის მეტოქეთაგან
უპირველესად დადიანს მისდგნენ.¹³



და მმართველობის მეათე წელსვე
რუსი აფხაზეთს ბრძოლით შევიდა,¹⁴
ოსმალის მარდი დამფრინებელი
გადმოსცქეროდა ცხუმსაც შევიდან.
საუბედუროდ, რომლისაც ღლესაც,

¹³ ეს მოხდა 1803 წელს, ხოლო იმერეთთან „ელაშნაურის გრაქტაგი“ დაიღო 1804 წლის 16 აპრილს.

¹⁴ ეს მოხდა 1810 წელს. რუსეთის ჯარმა დაიკავა ქ. ცხუმი. აფხაზეთის მთავარი გახდა საფარ-ბეგ (გიორგი) შერვაშიძე.

რუსთ მარწუხებში მოგვესმის კენესა.

მძიმე ბეგარა დააწვა ქართველთ,
უსამართლობამ ქვეყნად იმძლავრა,
რუსმა ქართული ენაც უარყო...
მაბულის ცაბე კელავ არ იღარა.

ამას დაერთო ეპიდემია
და შავმა ჭირმა ჩვენსას იფეთქა,¹⁵
სიდუხჭირეში ისედაც მყოფი
აურაცხელი ხალხი იმსხვერპლა.



ველარ გაუძლო კახეთმა ამდენ
დამამცირებელ ხელყოფას, გვემას,
ამწიოკებელ ეგზეკუციებს,
გარყვნილებას და გლეხკაცის ცემას.

აჯანყდა ხალხი ჯერ ახმეტაში,¹⁶
მას თიანეთმაც აუბა მხარი,
და მთელ კახეთში იფეთქა ბრძოლამ...
უკუაქციეს რუსების ჯარი.

აჯანყებულებს ჰქონდათ განზრახვა,
რომ სამხედრო გზა გადაეკეცათ,
შემდეგ ცფილისი ბრძოლით აეღოთ,
კოლონისტები სულ გაერეკათ.
ამ ცალღას აჰყვა ფშავ-ხევსურეთი

¹⁵ ეს მოხდა 1811 წელს იმერეთში, შავი ჭირი ქართლსა და კახეთშიც გავრცელდა.

¹⁶ ეს მოხდა 1812 წლის იანვარში, ხოლო მარტში სოფელ ჩუშლავეთან ოთხათასიან ქართველთა ლაშქარს გრიგოლ ბატონიშვილი მეთაურობდა და მეღვრად ებრძოდა რუსეთის რეგულარულ ჯარს. მიუხედავად დიდი თავგანწირვისა აჯანყებულები დამარცხდნენ. გრიგოლი დაღესტანს გადაიხვეწა. აჯანყება განახლდა აპრილში და შემდეგ სექტემბერში.

დუშეთიც, ხევიც, გუდამაყარიც,
თავგამოდებით იბრძოდა ხალხი,
მათ სხვა სოფლებმაც აუბეს მხარი.

და სამხედრო გზაც დაიპყრეს იმ ქამს,
ხალხის გამოსვლამ კახეთს იმარჯვა,
თუმც პაულიჩმა¹⁷ ურიცხვი ჯარით
აჯანყებულებს რისხვით მიმართა:

რომ დაეყარათ მათ იარაღი,
დამშვიდებისკენ მოუწოდებდა,
ვინც უარყოფდა ამგვარ მოთხოვნას
მათ ციმბირის გზას გაუყენებდა.

აჯანყებულმა კახეთმა უმაღ
ამ ულტიმატუმს მიმართა ერთხმად:
„პური წაგვართვით, შიმშილით გვხოცავთ,
ცოლ-შვილს გვიხოცავთ, გაგვთელეთ ქვეყნად.

ჩვენი ჩივილი ყურად არ იღეთ,
არ მოახსენეთ ხელმწიფეს თქვენსას:
მოღალატენი ჩვენ არ ვყოფილვართ,
ეს არ სჩვევია ქართველსა ერსა.

გულის ფიალა აივსო სევდით,
არ შეგვიძლია მეგის მოთმენა,
სულაც სჯობია მთლად დავიხოცოთ,
რადგან არ გინდათ ჩვენი მოსმენა?!
ჩვენ გამარჯვების იმედი არ გვაქვს

17 მთავარმართებელი საქართველოში.

და გვინდა თქვენვე ყველა გაგვქლიგოთ,
ჩვენ მფარველობას ვეძებდით თქვენთან –
ერთმორწმუნესთან და ძლიერ ერთან.

რუსთა ხელმწიფის წყალობის ნაცვლად
უსამართლობა შეგვრჩა სანაცვლოდ,
რამაც გაგვწყვიტა, ცოცხლად დაგვმარხა,
ერთი რამ გვრჩება, ბრძოლა განვაგრძოთ“.
და მეფედ გრიგოლ ბაგონიშვილი
გამოაცხადა მყისვე კახეთმა.

და შეტევაზე გადვიდა რუსიც
დიდძალი ჯარით ბრძოლა დაიწყო,
ტყვედ ჩავარდნილნი სულ ჩამოახრჩო,
ქართლის მთა-ბარი ომმა აიკლო.

რუსეთის ლაშქარს სოფელ ჩუმლაყთან
ბაგონიშვილი ჯარით დაუხვდა,
ვერ შეაჩერეს მაინც ვერასგზით
დროებით წინსვლა ძვირად დაუჯდათ.

და უკუიქცნენ ამბოხებულნი
„წესრიგი“ აღსდგა დიდ მსხვერპლის ფასად,
თუმც მტერს აღუდგა კვლავ ხალხის მასა.

ენისელმა და შილდა, საბუემ
ისევ აისხა ტანზე აბჯარი,
ქიზიყიც უმაღ გვერდში დაუდგა
და დაამარცხეს რუსების ჯარი.
ისევ აიღეს თელავის ბჭენი,

დაჭრეს შმაგოვი – ოლქის უფროსი,
მაგრამ იმძლავრა ორბელიანმა
მგერმა, სარდალმა რუსთა ურდოსი.

ეს მან ჩააქრო ხალხის გამოსვლა,
ჯილდოც უბოძეს ძმათ მოკვლის გამო,
ო, როგორ მინდა შორს იყო ჩემგან
მსგავსი მოვლენის აღწერის წამო...

ამ მარცხის გამო აჯანყებულნი
მთასა თუ ტყეში გახიზნულიყო,
ლესავდა მახვილს ახალ ბრძოლისთვის...
ბაგონიშვილიც მათ გვერდში იყო.

და ალექსანდრეს მეთაურობით
ისევ განახლდა მომხედურთან ბრძოლა,
ქართლელი, ფშავი და ხევსურელი
კახეთში ქროლვით მიიჩქაროდა.

ერთობლივ ბრძოლით რუსთ ნაწილები
დამარცხეს და უკუაქციეს,
თუმცა შილდასთან წააგეს შემდეგ
და ამჯერადაც მგერი ვერ სძლიეს.

ბაგონიშვილი სოფელ მანავთან
სასტიკ ბრძოლაში მგერთან დამარცხდა,
მშობელი მიწის ერგო მას შორით
მოსანაგრებელ ფრაზის დამარცვლა.
ადმოსავლეთი საქართველოსი

ორბელიანმა კიდეც აიკლო,
გააცამტვერა ირგვლივ ყოველი
ქართველთა მოღვმა ისევ აიგლო.

და დაიგბორა სისხლით კახეთი,
ბევრი იმსხვერპლა სასტიკმა ომმა,
მტერმა სოფლები უღვთოდ გადაწვა
კვლავ ვერ იხარა ქართველთა ტომმა.

აჯანყებულნი მკაცრად დასაჯეს
გახადეს კერძი ციმბირის წერის,
საწყალ გლეხობას განაწამებსა
კონტრიბუციის კვლავ ერგოთ ხვედრი.

კახეთის ჯანყი თავის მასშტაბით
ჯერ არნახული მოვლენა გახლდათ
და ამ ბრძოლებმა გამოავლინა
რუსთა რეჟიმის მოშლისკენ სწრაფვა!

რუსეთმა მალე მთელი სიმკაცრით
დაიწყო „ალყა კავკასიური“,
ჩეჩნეთს, ყაბარდოს, დაღესტანს, ჩერქეზს
გამოაცალა ძალა მთიური.

ჯანყმა იფეთქა ისევ მამულში
როს ომით იყო რუსი გართული,
მედგრად ებრძოდნენ, თუმცალა მტერთან
ისევ დამარცხდა გენი ქართული.



შემდეგ თანდათან ვიგუეთ რუსი –
სიმკაცრით მსგავსი თვით მურვან ყრუსი.

ძალა აღმართს ხნავს ვიცოდით ოდით,
ისევ დავმძიმდით სიზიჟეს ლოდით.
მუსლიმთა ხროვას ვუფრთხოდით მუდამ,
მათი განდევნა რუსთ ერთად გვსურდა.

მივიღეთ იგი, ველოდით რასაც,
სხვაგვარად ბჭობდა სლავების რასა.
ქართულ სამეფოს არყოფნის ხარჯზე
მან მოახდინა თვის როლის განსჯა.



მსახვრალმა ომმა, შავ ჭირის ტალღამ
იმერეთი მთლად გაანახევრა,
საეკლესიო მძიმე რეფორმა
რუსს არ ეჩვენა ამ ფონზე ბევრად.

მის ცხოვრებაში ჩართვის მცდელობამ
ამ კუთხეს დასცა დიდი თავზარი,
უკმაყოფილო იყო ყოველი –
დრო რომ დაუდგათ ეგზომ სამხარი.



და აჯანყება გავრცელდა რაჭას,¹⁸
მასში ჩაება ხალხი მრავალი,
ხელმძღვანელობდა მას აბაშიძე¹⁹

¹⁸ 1819 წელს იმერეთში რუსეთის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო, ხოლო 1820 წელს იმერეთში დაწყებული აჯანყება გურიამში, რაჭასა და სამეგრელოში გავრცელდა.

სოლომონ მეფის შთამომავალი.

რუსმა რეფორმა შეწყვიტა უმაღლესი,
რომ აღეკვეთა ეს მოძრაობა,
რათა გურიას და სამეგრელოს
არ „მიტმასნოდა მოსახლეობა“.

თითქოს შენელდა გამოსვლის ტალღა,
ხოლო სანაცვლოდ ხალხს „შესთავაზეს“
ერთგულებაზე ფიცის დადება,
თუმც არვინ დადგა რუსის თავდებად.

და აჯანყებაც უმაღლესი გაცხარდა
თვით აბაშიძე იმერთა მეფედ
ტანჯულმა ხალხმა გამოაცხადა.

მეფის რუსეთმა აჯანყებულებს
დიდძალი ჯარით შემოუტია,
რეპრესიებით კუთხე აიკლო, –
მაღლე გურიას ჯანყი დაიწყო.

ამბოხებული გურულებიდან
რუსმა ზედიზედ იწვინია მარცხი,
სამეგრელოსაც გავრცელდა ბრძოლა,
მტერმა იმძლავრა მარჯვნივ და მარცხნივ.

ბევრი გმირულად დაეცა ომში,
გადაასახლეს რუსეთში ბევრიც,
უცხო გრამალი უქციეს ჭერად
და მოანაგრეს სამშობლოს ტევრი.
იმერეთის და გურიის ბრძოლამ

19 იგულისხმება ივანე აბაშიძე იმერეთის მეფის სოლომონ I შვილიშვილი.

შემოგვინახა იმედი ხეალის
და მან ეროვნულ ისტორიაში
მარად უშლელი დატოვა კვალი.



გასახლებული მამულიშვილი
რუსეთის რეჟიმს ვერ შეურიგდა,
პეტერბურგში და მოსკოვში მალე
შეთქმულების წრე ჩამოყალიბდა.²⁰

მას სათავეში მედგრად ჩაუდგნენ
მეფე ერეკლეს შთამომავალნი:
მხნე ოქროპირი, ღავით, ფარნაოზ,²¹
ღიმიტრი, კიდეც ბევრი თავადი:
ჭავჭავაძენი, ჩოლოყაშვილნი,
ერისთავები, ორბელიანნი,
რამზაძეები, დოდაშვილები...

და ჩამოვიდნენ საქართველოში
რათა დაემხოთ რუსთა რეჟიმი,
მაგრამ ერთ-ერთმა ისინი გასცა,²²
და მათ გამოსვლას ლახვარი ჩასცა.

ამ აჯანყების გეგმას ეწოდა

20 1826 წელს ჩამოყალიბდა მოსკოვში შეთქმულთა წრე. მანამდე კი წრე ჩამოყალიბდა პეტერბურგშიც.

21 იგულისხმება ბაგონიშვილები: ოქროპირ გიორგის ძე, ღავით გიორგის ძე, ფარნაოზ ერეკლეს ძე, ღიმიტრი იულონის ძე, თავადები: ალექსანდრე ჭავჭავაძე, სოლომონ დოდაშვილი, ღავით ორბელიანი, ალექსანდრე ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი, ღიმიტრი ერისთავი, გრიგოლ ორბელიანი, ფილადელფოს კიკნაძე, ბიძინა ერისთავი, მაქარია ჩოლოყაშვილი, ლუარსაბ ორბელიანი (ბაგონიშვილი თამარ იულონის ასული) და სხვა. 1830-1832 წწ. შეთქმულთა ორგანიზაციები შეიქმნა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. შეთქმულები ალექსანდრე ჭავჭავაძეს მიიწვევდნენ სამხედრო ხელმძღვანელად და დიდ იმელებს აჟიარებდნენ მის გამოცდილებასა და ავტორიტეტზე.

22 შეთქმულება გასცა იესე ფალავანიშვილმა 1832 წლის 9 დეკემბერს.

„პირველი ღამის განკარგულება“,
საუბედუროდ, აღარ დასცალდათ –
სულ ფუჭად იქცა ეს შეთქმულება.

რუსთა ხელმწიფემ²³ ამბოხებულნი
„მსუბუქ“ სასჯელით დასაჯა უმაღლ
და მოთავენი შეთქმულებისა
გადაასახლა რუსეთს იღუმალ.



რუსეთი ომებს აწარმოებდა,
მის გვერდით დადგა ქართველი ერი,
ამ შემთხვევაში სპარსეთ-ოსმალთ
იყო ორთავეს საერთო მტერი.

მაღე რუსეთმა მრისხან ოსმალეთს
ბრძოლით წაგლიჯა განჯული ყარსი,
შემდეგ საფაშო ბაზიანეთის
და დაუყენა ღრო-ქამი თარსი.

ახალციხე და ახალქალაქი,
ასპინძა, აწყურ-აბასთუმანი,
ათაგისუფლა მას შემდეგ რუსმა –
დატოვა ფოთიც ოსმალთ ურჩმა.²⁴

ქართველთა ლაშქარს მეთაურობდა
მხნე ჭაფჭაყაძე²⁵ – დიდი რაინდი,
ერთობლივ ბრძოლით ჯერ უჩვეულო

²³ იგულისხმება ალექსანდრე I.

²⁴ ეს მოხდა 1828 წელს.

²⁵ იგულისხმება ალექსანდრე ჭაფჭაყაძე.

სგამბოლის ცაზე ჩამოწვა ბინდი.

თუმცა აჭარა ველარ დაიხსნეს,
ამეაბად იგი ურჯულთ ღარჩათ,
შემდეგ დაიღო ამ ომში ზაფი²⁶
ბათომს ემოსა კვლავ ოსმალთ ფარჩა.

ამ ომს უსწრებდა ბრძოლა ირანთან,
რუსეთის ჯარმა აქაც იმარჯვა,
კლანჭებს დაუსხლგა ჭარ-ბელაქანი,²⁷
ჩვენს სამანს გასცდა სპარსელთ ქაქანი.

სამცხე-ჯავახეთს და საინგილოს,
ისევე, როგორც სხვა მხარეს ქვეყნის,
დამყარდა რუსთა რეჟიმი მკაცრი
ოსმალ-სპარსს ერგო კვლავ ქექვა ნაცრის.



ოცი წლის შემდეგ კვლავ გურიაში
რუსთ წინააღმდეგ ჯანყმა იფეთქა,²⁸
ველარ გაუძლო ტანჯულმა ხალხმა
მამულის გულის მჭმუნვარე ფეთქვას.

აჯანყებულებს მეთაურობდა
ურჩი ბოლქვაძე, ვინმე აბესა,
შეკვეთილს რუსი უმაღლ დასძლია
ვერრა ღააკლეს მხნეს და აბეზარს.

26 1829 წელს დაიღო ანდრეასოპოლის ზაფი.

27 იგულისხმება საინგილო, რომელიც რუსეთმა დაიბრუნა 1820 წელს ირანზე გამარჯვების შემდეგ. ირან-რუსეთის ომი დამთავრდა 1828 წელს და დაიღო მათ შორის ზაფი თურქმანაისის.

28 ეს მოხდა 1841 წელს.

მათვე იფრინეს მეგრელთა მთავრის
და იმერეთის მილიციელნი,
და შემდეგ, თუმცა განუდგათ ბედი, —
არ მოიდრიკეს რუსებთან ქელი.

ერთი წლის შემდეგ სხვა ადგილებშიც
მოეწყო იმ ჟამს მსგავსი გამოსვლა;
თუმც რუსთა ხელით თავისუფლებას
კვლავ დაებედა ჩვენთან არმოსვლა.

გმირი აბესა როცა შეიპყრეს
უმაღ ასალმეს წუთისოფელსა,
აჯანყებულნი ხოცეს, ასახლეს,
ეს ბედი ერგო რუსის მგმობელსა.



სამი წლის შემდეგ ტანჯულ აჭარამ
ოსმალს მოუწყო მძლე შერკინება,
იგი თანზიმბათს უმაღ აღუდგა,
თავის მოდრეკა აღარ ინება.²⁹

ამ აჯანყებას ხელმძღვანელობდა
ჯერ თხუთმეტი წლის მტკიცე რაინდი, —
მძლეთა მძლე სელიმ ხიმშიაშვილი,³⁰
ვისაც უსმენდა ყველა გარინდვით.

²⁹ ეს მოხდა 1844 წელს.

³⁰ ივულისებზე სახალხო გმირის სელიმ ხიმშიაშვილის შვილიშვილი.



როგორც ვთქვით, სწაღდა რუსს საქართველო
გადაექცია კუთვნილ ნაწილად,
რიგ ღათმობაზე წავიდა ვითომ,
თუმც გამორჩენა სურდა ასწილად.

პუბლიცისტიკამ გაიდგა ფეხი,
დაარსდა კიდეც ქართველთა ჟურნალი,³¹
მაღე დასაქმდა მოსახლეობა,
ღრო გახდა თითქოს ხალხის მკურნალი.

ვორონცოვი³² ქმნის საკრებულოებს,
აწინაურებს ქართველ თავადებს,
აღადგენს თეატრს, მოქმედს მანამდე,³³
გრიუმფით მავალს ამ ჩვენს ხანამდე.

მისმა მოქნილმა ასეთ მიდგომა
მაღე მოიგო ქართველთა გული,
და საქართველოს ბევრი თავადი
რუსთა ხელმწიფის გახდა ერთგული.

განახლებულმა, რიგით მეოთხემ,
რუსეთ-ოსმალის ყირიმის ომმა³⁴
ოდიშის მკვიდრთა ისეც ცუდ ყოფას
დააკარგვინა წონა და ზომა.

31 1819 წელს დაარსდა პირველი ქართული გაზეთი „საქართველოს გაზეთი“ („ქართული გაზეთი“).

32 პირველი მეფისნაცვალი მიხეილ ვორონცოვი (1844-1854 წწ.).

33 1850 წლის 2 იანვარს გიორგი ერისთავის ხელმძღვანელობით დაარსდა ქართული თეატრი, ხოლო 1846-1848 წ.წ. თბილისში დაარსდა საჯარო ბიბლიოთეკა.

34 რუსეთ-ოსმალის, ყირიმის ომი მიმდინარეობდა 1853-1856 წწ.

აუტანელმა მძიმე უღელმა
გლეს იარაღი ააღებინა,³⁵
რადგანაც იმან მეზაგონებს
მუდართ ვერა გააგებინა.

დადიანთ იგდეს რეზიდენცია,
მთავრის მამულში დაიდეს ბინა,
აარსეს გლესთა მმართველობები,
არ დააყენეს მმართველნი შინა.

აჯანყებულებს მეთაურობდა
მჭედელი – უტუ, გვარად მიქავა,
რომელმაც ოცი ათასი გლესი
მემამულეებს კარზე მიჰგვარა.

ხელისუფლება თუმცა დაპირდა
შემსუბუქებას გლესთა ყოფისა,
ეჭვის ქვეშ დადგა შემდგომ საკითხი
სიგყვის და საქმის ერთად ყოფნისა.

და ეს გამოსვლაც უმაღლესად –
ჯარს რეგულარულს წააწყდა გლესი,
დამატებითი ძალის მომდევნო
რუსმა ატეხა მოჯანყეს მესი.

აჯანყებულთა მეთაურების –
უტუ მიქავას, თოდუა კოჩას,
კვარაცხელია ლევანის და სხვის
სახელი დღესაც ნათელით მოჩანს.

35 ეს მოხდა 1856 წელს შემოდგომაზე სამეგრელოში, სოფ. სალხინოში.

ამ აჯანყებამ ხალხს დაანახა,
რომ ბატონყმობა საქართველოში
ვით სარეველა მოდებულიყო
ისეც მგრის ნაძარცვ მთა და მდელიში.

ყირიმის ომის წაგების შემდეგ
ბატონ-ყმის გვირთი რუსეთს გაუქმდა,³⁶
არ შეიცვალა ერთი რამ მხოლოდ, –
ბატონის ჯდომა ბუხრის პირს უქმად.

როგორც ვთქვით, ამ და წინა ომებში
რუსების გვერდით ქართველი იდგა,
ბევრი მათგანი ემსხვერპლა ბრძოლას
მგრის შემუსვრაზე ჯერი რომ მიდგა.

ომი დამთავრდა პარიზის ზავით,³⁷
აჭარა დარჩა გამოუხსნელი
და გრძელდებოდა ტანჯვა-ვაება
ქართულ კუთხეში ენით უთქმელი.



საქართველოში რუსთ მიზნად ჰქონდათ
სეპარატიზმის წახალისება
და ცალკეული კუთხის მიხედვით
ჩვენი მამულის განაწილება.

თუმცაღა შემდეგ შეცვალეს კურსი
სულაც აუქმეს სამთავროები;³⁸

³⁶ ეს მოხდა 1861 წელს.

³⁷ ზავი დაიდო 1856 წელს.

³⁸ სამთავროები გააუქმეს: 1829 წელს გურიაში, 1867 წელს სამეგრელოში, 1859 წელს სვანეთს, 1864 წელს აფხაზეთს, ამრიგად, 1864 წლისათვის გაუქმდა ყველა ქართული სამთავრო და საქართველო რუსეთის აღმინისტრაციულ სისტემაში მოექცა.

რუსთ მმართველობა დამყარდა ყველგან,
ქართული დარჩა განმარტოებით.

და ბატონყმობის საგდებლად მანამ
მოხდა გამოსულა გურია-ქართლში,³⁹
შემდეგ აფხაზეთს მოედო ცეცხლი,⁴⁰
მაუწყებელი ძველ ღროის შეცვლის.



ვორონცოვიდან⁴¹ მოყოლებული
ვითარდებოდა კულტურა ჩვენი,
თუმცა ცდილობდა რუსი მეგწილად
ქართულთან შერწყმას რუსული ენის.

ერთი რამ მგლისკენ უნდა ვთქვათ აქვე,
რის წყალობითაც არ წაველთ თავქვე,
გავცილდით სამარ ერთფეროვნებას,
ჩავწვდით ევროპის დიდ ხელოვნებას.

ტფილისს, ქუთაისს, გორში, სენაკში,
თელავს გაიხსნა გიმნაზიები,
ვიხილეთ სწავლის კერა მრავალი,
ყმაწვილკაცები მათკენ მავალი.

გიმნაზიებში წარჩინებულნი
რუსეთში ცოდნას ეწაფებოდნენ,

39 1858-1859 წწ. გლეხთა მღელვარება მოხდა ქართლში, 1862 წელს გურიაში აღინიშნა გლეხთა რამდენიმე შეიარაღებული გამოსულა.

40 1866 წელს აფხაზეთში დაწყებულ გლეხთა აჯანყებაში დაახლოებით 20 ათასი კაცი მონაწილეობდა. აჯანყებულებმა სოხუმის აღებაც კი სცადეს.

41 იგულისხმება 1844 წელი.

რომლებიც მამულს დაბრუნებულნი
თერგდალეულად იწოდებოდნენ.⁴²

ამ ღროისათვის საბედნიეროდ
აღმავლობის გზას მწერლობაც ადგა,
და შემოქმედთა კალმით ნაღვაწი
დიდ პოემიის პარნასზე დადგა.

ჭავჭავაძემ და ბარათაშვილმა,
ერისთავმა და ორბელიანმა,⁴³
ქართული ენის კაზმური სიყვეთ
ქართველთა მოღვა დააფრთიანა.



ხოლო შემდგომში ერს მოეველინა
დიდი აკაკი, დიდი ილია⁴⁴,
არ მეგულება ქართველი ქვეყნად
არ იყოს მათი გამომრდილია.

მათ გარდა კიდევ გვარგუნა ღმერთმა,
ვაჟა-ფშაველა და ნინოშვილი,
ლომოური და მგალობლიშვილი,
ჩოფიკაშვილი და კლდიაშვილი.⁴⁵

42 XIX საუკუნის 60-იანი წლების დამლევდიან საქართველოში იწყება ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპი, რომელსაც ხელმძღვანელობენ თერგდალეულები ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით.

43 იგულისხმება ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786-1846წწ.), ნიკოლოზ ბარათაშვილი (1817-1845 წწ.), გიორგი ერისთავი (1813-1864წწ.), გრიგოლ ორბელიანი (1804-1883 წწ.), ვახტანგ ორბელიანი (1812-1890 წწ.).

44 იგულისხმება აკაკი წერეთელი (1840-1915 წწ.), ილია ჭავჭავაძე (1837-1907 წწ.).

45 იგულისხმება ევნაგე ნინოშვილი, ნიკო ლომოური, სოფრომ მგალობლიშვილი, კონდრაგე თათარაშვილი, დავით კლდიაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი.

ილიამა და აკაკიმ იმ ქამს
თავდადებული ბრძოლის შედეგად,
კვლავ აღადგინეს თეატრი ჩვენში,⁴⁶
პაგრიოტიზმი აღვიძეს ერში.

ამავ დროს მეცნიერება
მოჩქეფდა ძალით რიონის,
გამგრძელებელი დიდ გზისა
ვახუშტი ბაგრატიონის.⁴⁷

ბარათაშვილი, პეტრიაშვილი,
ბაგრატიონი და ღოდაშვილი,
მელიქიშვილი, ჩუბინაშვილი,
იოსელიანი და ჯანაშვილი,
მარი ბროსე და ხახანაშვილი.

სამოღვაწეო ასპარეზს მალე
გამოჩნდნენ დიდი მეცნიერები:
ახვლედიანი, ჯავახიშვილი,
კეკელიძე და თაყაიშვილი.⁴⁸

მერე ვიხილეთ თავის ხელწერით
მხატვარი გრიგოლ მაისურაძე,
შემდეგ ბერიძე, გველესიანი,
გაბაშვილი და მრეველიშვილი
და ნიკოლაძე გამოჩნდა მერე
ქართულ სკულპტურის პირველი მეკვლე.⁴⁹

46 1879 წელს ქართული თეატრი კვლავ აღსდგა.

47 ვახუშტი ბაგრატიონი – XVIII საუკუნის გამოჩენილი მეცნიერი – მეზეგიაწე.

48 იგულისხმება ღვათი ჩუბინაშვილი, სულხან ბარათაშვილი, იოანე ბაგრატიონი, თეიმურაზ ბაგრატიონი, სოლომონ ღოდაშვილი, პროფ. ვასილ პეტრიაშვილი, პროფ. პეტრე მელიქიშვილი, პლატონ იოსელიანი, მოსე ჯანაშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, მარი ბროსე, ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი ახვლედიანი, კორნელი კეკელიძე, დიმიტრი ბაქრაძე, ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო მარი, ივანე თარხნიშვილი.

49 გრიგოლ მაისურაძე (1810-1885 წ.წ.), ცნობილი პორტრეტისტი. რომანოზ გველესიანი (1859-1884 წ.წ.), ალექსანდრე ბერიძე (1858-1917 წ.წ.), ვიგო გაბაშვილი, ალექსანდრე მრეველიშვილი (1866-1933 წ.წ.) მისე თითქმის (1871-1951 წ.წ.). ნიკო ფიროსმანაშვილი (1860-1918 წ.წ.), ახალ ქართულ მხატვრობაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავებდა. იაკო ნიკოლაძე (1876-1951 წ.წ.)

და საოპერო თეატრიც იმ ეამს
ტფილისს გაიხსნა ლადი სავანე,⁵⁰
მუსიკალური სასწავლებელის
გახსნას ვუმადლით – ხარლამპ სავანელს.⁵¹



და სამოციან წლებში იწყება
მოძრაობები კვლავ ეროვნული,
წინა თაობის დაწყებულ საქმეს
წინამძღოლობდნენ თერგდალეულნი.

მას სათავეში ედგა ილია
ერის ლიდერი, კაცი ქებული,
ცნობიერება ვინც ეროვნული
გამოაღვიძა მიძინებული.

მიზანი ჰქონდა თავისუფლების
და სახელმწიფოს ისევ აღდგენა,
ძლიერთა შორის სისხლით დაცული
მამულის ღია ცის ქვეშ დარჩენა.

ილიას გვერდით ჰყავდა აკაკი,
გოგებაშვილი, კაცნი ფხიანნი,
სერგეი მესხი და ნიკოლაძე,
ერისთავი, და მხნე ყიფიანი.⁵²

50 ოპერა დაარსდა თბილისში 1886 წელს. ხოლო მანამდე 1880 წელს დრამატული თეატრი დაარსდა ქუთაისში. XX საუკუნის დამლევს კი ბათუმში ვითარდება კინემატოგრაფია. 1912 წელს ამაშუკელმა გადაიღო დოკ. ფილმი „აკაკი წერეთლის მოცეპურობა რაჭა-ლეჩხუმში“.

51 ხარლამპი სავანელი (1845-1890 წ.წ.), გამოჩენილი მოღვაწე და მომღერალი. ასევე იყო პიანისტი და კომპოზიტორი ალიომ მიზანდარი (1838-1921 წ.წ.) და ლადო აღნიაშვილი (1860-1904 წ.წ.) პირველი ოპერა დაწერა მელიტონ ბალანჩივაძემ (1862-1937 წ.წ.) 1896 წელს „თამარ ცხიერი“. შემდეგ რომანისის ჟანრს ავითარებდნენ: მაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი და ნიკო სულხანიშვილი.

52 იგულისხმება ნიკო ნიკოლაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, დავით ერისთავი და დიმიტრი ყიფიანი.

უცხოგომელთა თითქმის ხელთ იგდეს
სიამოვნებით მარად გართული
თავადებისგან მათი მამული
და გავერანდა მიწა ქართული.

და ამის გამო დაარსდა ბანკი,⁵³
ილია გახლდათ მისი თავკაცი,
რათა ჩვენს მიწებს სათუთად მოვლილს
არ შეხებოდა ხელი ავკაცის.

ქართველი ერის სიწმინდის მცველად
სულ სამ კომპონენტს თვლიდა ილია,
„მამული, ენა, სარწმუნოება“,
რაც მრავალ ცეცხლში გამოვლილია.

ჩვენი მამულის მოამაგენი
არად აგდებენ რუსის წყენასა,
სახელმძღვანელოდ ურჩევენ ბავშვებს
ქართველთ საუნჯეს დედა-ენასა.⁵⁴

სამოგადოებას ხსნიან აგრეთვე
გამავრცელებელს წერა-კითხვისა,⁵⁵
არ უგოვებენ მგერს თუნდაც შანსსაც
ხალხის წყვდიალში ყოფნის მითვლისა.

53 1875 წელს თერგდალეულთა ინიციატივით დაარსდა თბილისის საადგილმამულო-სათავადაზნაურო ბანკი, რომლის თავმჯდომარე თვლადათი წლის მანძილზე იყო ილია ჭავჭავაძე.

54 იგულისხმება იაკობ გოგებაშვილის დედა ენა, რომელიც გამოვიდა 1864 წელს.

55 1879 წელს თერგდალეულთა ინიციატივით შეიქმნა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. სამოგადოებას დიდი ამაგი დასდეს დიმიტრი ყიფიანმა, გრიგოლ ორბელიანმა, ილია ჭავჭავაძემ, იაკობ გოგებაშვილმა და სხვებმა.

რუსთ პოლიტიკას პრესაც აღუდგა,
მაღე თეატრიც დაუდგა გვერდით,
და გამოიღო ქართველმა ხელი
გამჭრიახ გრძნობით, უძლევი მკერდით.

ამ ბრძოლას მაღე შედეგიც მოჰყვა,
თუმცა გადახდათ ბევრი წვალება,
თერგდალეულთა არა დაუმევს
რუსებთან შერწყმა, გადაგვარება.

შემდგომში მაღე მათ შორის მოხდა
ჩვენთვის ჩვეული უთანხმოება,
ისევ მისუსტდა საერთო ბრძოლა,
ისევ დაგვიდგა ცუდი ღრობა.

რუსეთში მაღე ჩამოყალიბდა
ხალხოსანთ წრენი კიდიდან კიდით,⁵⁶
მან აქაც ნახა გამოძახილი,
არ მოჰყოლია თუმცა ძვრა დიდი.

როს ბაგონელობა ჩვენთან გაუქმდა
გადასახადის გამო გლეხებმა
აჩაღეს დიდი აჯანყებები, –
რასაც თან მოჰყვა შეგაკებები.⁵⁷

სვანეთში, კახეთს, სამეგრელოში
სასტიკად მოსრეს აჯანყებულნი,

⁵⁶ ხალხოსნური მოძრაობა რუსეთში აღმოცენდა XIX საუკუნის 70-იან წლებში. გლეხური რევოლუციის იდეის მარცხის შემდეგ ხალხოსნების ნაწილი გეროლის ტაქტიკას ღადაღა. 1881 წელს მათ მოკლეს იმპერატორი ალექსანდრე II, რასაც მოჰყვა უმკაცრესი რეპრესიები და პოლიტიკური რეაქცია.

⁵⁷ 1876 წელს მოეწყო აჯანყებები სვანეთსა და სამეგრელოში, ხოლო 1878 წელს კახეთში.

ჩვეულ სიმკაცრით თავს იწონებდნენ
რუსის სალდათნი, ხიშკით ქებულნი.

თვით ხალხოსნებიც იღვწოდნენ მაშინ
ტფილისს, ქუთაისს, გორში, თელავში,
გამოუხიზლესაც არ დააცალეს,
ხელი ჩაავლეს უმაღლვე მკლავში.

მათ მოძრაობას საქართველოში
თუნდაც იმიგომ არ ედგა ღარი, –
გადაეღობა წინ ეროვნული
დიდი ილიას პირველი ღასი.⁵⁸



კავკასიაში და ბალკანეთზე
რუსეთ-ოსმალის განახლდა მგრობა,⁵⁹
კავკასიაში რუსთა სარდლობამ
ბრძოლა მიანდო ჩვენს ქართველობას.

რუსთ იმპერიის გაფართოება,
ქართველებს კიდეც თვისი მიწების
იმ ხანად სურდათ შემოერთება,
მიგომ აჩაღეს ხმალთა კვეთება.

⁵⁸ XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგისათვის ქართულ სამოგადეოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში ყალიბდება სამი მიმდინარეობა. პირველი მიმდინარეობა, რომლის ლიდერი ილია ჭავჭავაძე იყო, შემოკრებილი იყო გაზეთ „ივერიის“ გარშემო. მათ ეწოდათ პირველი ღასი.

მეორე მიმდინარეობის (მეორე ღასი) ხელმძღვანელი იყო ნიკო ნიკოლაძე, რომელიც ეურნალ „მოამბის“ (გამოვიდა 1894 წელს) გარშემო დაირაზმდა.

მესამე მიმდინარეობა (მესამე ღასი), დაირაზმა გაზეთ „კვალის“ (გამოვიდა 1893 წელს) გარშემო გიორგი წერეთლის ლიდერობით.

⁵⁹ 1877 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალის ომი.

მძიმე ბრძოლების მიუხედავად
ორივე ფრონტზე მოიგეს ბრძოლა,
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსი
ოსმალთ უღელში დასრულდა ძრწოლა.⁶⁰

ამით აღსრულდა დედისკენ მსწრაფი
ძირძველი კუთხის დიდი ხნის ნატვრა,
ერი ერთ მუშტად შეიკრა უმაღ
მომხდურის ბოროტ განზრახვის ნაცვლად.

კარზე მომდგარმა გადაშენებამ
ჩემი აჭარა ვერ წააქცია,
ბევრი იცდილა ამოსაძირკვად
ოსმალომ მიმანს ვერ მიაღწია!



ხიმშიაშვილი⁶¹ ხელმძღვანელობდა
აჭარის მხრიდან ამ ომში ბრძოლას,
ბაბუას ფიცის დარჩა ერთგული,
არ დაუწყია მტრის თვალწინ თრთოლა.

აქვე სელიმზეც უნდა მოგითხროთ,
მცირე ადგილი მასაც დაეუთმოთ.

„მე თავს მჭრით, მაგრამ გეცყვით ურჯულოთ,
რომ გურჯისტანი თქვენ არ შეგრჩებათ“.
მსგავსი სიტყვებით მომხდურს მიმართა,
რაც უტყუარი სიმართლეც გახდა.

60 1878 წლის აგვისტოში სამხრეთ-დასავლეთ საქართველო განთავისუფლდა ოსმალთა ბატონობისაგან.

61 იგულისხმება შერიფ ხიმშიაშვილი, სელიმ ხიმშიაშვილის, სახალხო გმირის შვილიშვილი.

სელიმი ასე არ მოკვდებოდა
რუსთ ფუჭი ფიცი რომ არ ჩვეოდათ.

დიდი სელიმის მეთაურობით
მზალ იყო მთელი სამხრეთი ჩვენი
შეერთებოდა დედასამშობლოს,
მამულისათვის მიერთვა ძღვენი.

რუსთ მფარველობის ქვეშ მაშინ შესვლას
იგი გაგებით ეკიდებოდა,
იმ პერიოდში სხვა გზა არ იყო,
მამული ჩვენი რუსმა დაიპყრო.



ბატონყმობის მალ გაუქმებიდან⁶²
წელში გამართვა იწყო გლეხობამ,
შებლუღულობის მიუხედავად
მის არსებაში შვება მეფობდა.

მიეცა შანსი, რომ მისი შრომით
არ დაეკარგათ რწმენა, მხნეობა,
კაპიტალიზმის წამბაძველობით
ემართა თვისი მეურნეობა.

ამგვარ ახლებურ ურთიერთობას
ამნაურობამც აუბა მხარი,
ხელი შეუწყო ამ ვითარებას
გრანსპორტის წინსვლამ არნახულ ძალით.

⁶² საქართველოში ბატონყმობა გაუქმდა: თბილისის გუბერნიაში (აღმოსავლეთ საქართველოში) 1864 წელს, ქუთაისის გუბერნიაში (იმერეთი, რაჭა, გურია) 1865 წელს, სამეგრელოში – 1867 წელს, აფხაზეთში – 1870 წელს, სვანეთში – 1871 წელს.

სოფელ-ქალაქმა იწყო გარდაქმნა,
მაღე რეფორმა გაგარდა ყველგან,
რუსულ ენაზე თუმც სასამართლო
კვლავინდებურად რჩებოდა დელგმად.

წარმოებები შეიქმნა მსხვილი
ქვანახშირის და სპილენძის მადნის,
მაღე შევიცანთ ჩვენ მანგანუმით
გამორჩეული ექსპორტის მადლი.

აღმავლობის გზას ადგას ტფილისი,
რკინიგზის ხლება მთავარი კვანძი,⁶³
ამიერიდან მგზავრი გზად მყოფი
დროის მოზომვით ფარავდა მანძილს.

ტფილისის შემდეგ ქარხნით, გვირთბრუნვით
მეორე ცენტრი ბათუმი გახდა,
ოსმალთა მარწუხს თავდაღწეული
ამჯერად მამულს გვერდში რომ ახლდა.

საქართველოში უცხოელებმა
ხელთ იგდეს მსხვილი წარმოებები,
ქართველი ამ მხრივ პასიურობდა,
აქტიურობდნენ მეტად სომხები.

⁶³ 1872 წელს დასრულდა რკინიგზის ხაზის მშენებლობა ფოთსა და თბილისს შორის, 1883 წელს – თბილისსა და ბაქოს შორის. შემდეგ ამოქმედდა სამგრეღია-ბათუმის რკინიგზის ხაზიც.

სოციალური ბუნება იმ ჟამს
ჩვენს ქართველ მუშას ჰქონდა ორმაგი,
ქალაქში მყოფი სოფელშიც იდგა,
რომ გამოეძღო საწყალს სტომაქი.



მას შემდეგ, როცა „ნაროდნიკებმა“
ტერორით მოჰკლეს იმპერატორი,⁶⁴
ტახტზე ავიდა მისი ძე უმალ
მამაზე მკაცრი უზურპატორი.⁶⁵

და გააუქმა საქართველოში
მეფისნაცვალის თანამდებობა,⁶⁶
მთავარმართებელს ამიერიდან
უნდა ემართა მოსახლეობა.

მას ნება ჰქონდა მეფის გარეშეც
გამოეყვანა სამხედრო ძალა,
მის თვალში ჩვენი ხალხის სწრაფვანი
არ შეადგენდა საღირაღს ჩალის.

კვლავინდებურად იწყო რუსეთმა
შევიწროება ქართული ენის,
დაწყებით კლასში რუსულის სწავლა,
გახდა მიზეზი მოძმეთა ღვენის.

64 1881 წელს ნაროდნიკებმა მოკლეს ალექსანდრე II.

65 ივლისისმება ალექსანდრე III.

66 1882 წელს გაუქმდა კავკასიის მეფისნაცვლობა და დაწესდა კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობა.

და მასწავლებლებს სულს უწამლავდნენ,
სეპარატიზმში სწამებდნენ ბრალსა,
სკოლა დატოვა ბევრმა მათგანმა, –
ვერვინ დაუსხლტა მტრის მსახვრალ თვალსა.

თვით ისტორიას ქართველთა ერის
გაყალბება და ღვენა დაუწყეს,
ქართველთ მეფეთა მასხრად აგდება
მთელს იმპერიას რიხით აუწყეს.

ძნელ ღლეში იყო ქართული პრესაც
და დაურღვიეს მას მყუდროება,
დახურეს მალე გაზეთი „შრომა“,
„იმედი“, მერე კი თვით „დროება“.⁶⁷

ეს ხვედრი უმაღლ გაიზიარა
სასულიერო სემინარიამ,
აქაც შეცვალეს მასწავლებლები, –
არ ალევინეს შეგირდთ წყალია.

კოლონიური ეს პოლიტიკა
თუმცა სიძნელეს წააწყდა ჩვენთან,
ილიას გვერდით პაგრიოგები
პირისპირ დადგნენ მოსისხლე მტერთან.

მათ ბრალი დასდეს – რომ იანოვსკი⁶⁸
თვის შოვინიზმით კაცია ლენჩი,
საქართველოში იმას აკეთებს,
რასაც ცდილობდა თვით თემურ ლენგი.

⁶⁷ „დროება“ გამოდიოდა (1866–1885 წწ.), ხოლო „შრომა“ და „იმედი“ დახურეს უფრო ადრე.
„ივერია“ – (1877–1906 წწ.).

⁶⁸ იანოვსკი იყო განათლების დარგში რუსიფიკატორული პოლიტიკის ანტიპადავლიერო გამგებელი.

სემინარელმა ლადიაშვილმა⁶⁹
მოჰკლა რექტორი გვარად ჩუღუცკი,
უსამართლობის პროტესტის ნიშნად
არად ჩააგდო რუსის მღუდეს კი.

განრისხდნენ რუსთა მესვეურები,
დაიწყეს ქართველთ შევიწროება,
და ყიფიანი⁷⁰ მოკლეს რუსეთში
აღკვეთეს ბრძოლის გაფართოება.

ჩამოასვენეს ღიმიტრი ტფილისს
ეს ფაქტი იქცა დემონსტრაციად,
და მთავრდებოდა დაკრძალვას იგი
რჩეული შვილი ერის კაცია.



მალე დაგვიდგა სულ სხვა დროება:
კაპიტალიზმის განვითარებამ
კლასებთა შორის სოციალური
გამოიწვია უთანხმოება.

ქართულ-ეროვნულ მოძრაობას კი
ისევ დაუდგა რიგი აღმასვლის,
და საიდუმლოდ ქალაქ ვარშავას
დაარსდა ლიგა თავისუფლების.⁷¹

⁶⁹ იგულისხმება იოსებ ლადიაშვილი, რომელმაც 1886 წელს მოკლა სემინარიის რექტორი ღიმიტოზი ჩუღუცკი.

⁷⁰ 1887 წელს ის ვერაგულად მოკლეს სტავროპოლში, სადაც იმპერატორის ბრძანებით იმყოფებოდა გადასახლებაში.

⁷¹ 1891 წელს შეიქმნა „საქართველოს თავისუფლების ლიგა“.

ის შედგებოდა სტუდენტებისგან,
ხელმძღვანელობდა – ხელთუფლიშვილი,
მას გვერდით ედგნენ: არჩილ ჯორჯაძე,
ქორდანია და დედაბრიშვილი.⁷²

ქართულ-ეროვნულ მოძრაობისა
იგი აღმოჩნდა იმ ჟამს მემკვიდრე,
თუმც იარსება მცირედი ხანი,
დაგოვა კვალი მნიშვნელოვანი.

ხოლო მიწურულს საუკუნისას
მისმა ჯგუფებმა დაიწყო დაშლა,
და პარტიათა დაფუძნებისკენ
პატრიოტებმა განაგრძეს სწრაფვა.

საქართველოში ჩამოყალიბდა⁷³
ორი პარტია განსხვავებული,
დემოკრატიების და ფედერალთა –
ევროპული გზით ხალხში ქებული.

მაღე რუსეთის გამოძახილით
აქაც იწყება მუშათ გაფიცვა, –
სოციალური მოძრაობები,
იმპერიამ რომ სულ მთლად მოიცვა.

⁷² იგულისხმება მისივე ხელთუფლიშვილი, ნოე ქორდანია, შიო დედაბრიშვილი, ასევე ორგანიზაციაში შედიოდნენ: არჩილ ჯორჯაძე, გიორგი გვაზავა, თედო სახოკია და სხვა. ორგანიზაცია აერთიანებდა ძირითადად სანკ-პეტერბურგის, მოსკოვის, ოლესის, ხარკოვის და სხვა უმაღლესი სასწავლებლების ქარველ სტუდენტებს. ლიგამ იარსება 1893 წლამდე.

⁷³ ქართული სოციალურ-დემოკრატიის იდეური და ორგანიზაციული გაერთიანება მოხდა ზესტაფონისა (1892 წლის დეკემბერში) და თბილისის (1893 წლის თებერვალ-მარტში) კონფერენციაზე (ყრილობაზე). ახლად შექმნილ ორგანიზაციას მოგვიანებით ეწოდა „მესამე დასი“. მისი აღიარებული ლიდერი იყო ნოე ქორდანია.

სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის შექმნისათვის დაწყებული მოძრაობა წარმატებით დასრულდა 1904 წლის აპრილში ქენევაში. მათ უწოდებდნენ ქართველ რევოლუციონერებს.

შეტაკებები მოხდა ბათუმში⁷⁴
პროლეტარიატს კანდარმთა შორის,
რასაცა მოჰყვა დიდძალი მსხვერპლი
თუმც არ ჩამკვდარა სურვილი ბრძოლის.

თვით ჯულაშვილი⁷⁵ ხელმძღვანელობდა
ბათუმის მუშათ გაფიცვებს იმ ჟამს,
რუსეთს განაგებს ვინაც შემდგომში
და გაიმარჯვებს ფაშიზმთან ომში.⁷⁶

გამოსვლა მოხდა სოციალური –
ტფილისს, კახეთში, გურიას, ქართლში,⁷⁷
გლეხობის დიდი მოძრაობები
ურღვევდა რუსებს სიმშვიდეს „სახლში“.

სოციალურად დაუცველ მუშას
აღარა დარჩა უკან სავალი,
და მწიფდებოდა რევოლუცია
ცარიშმის ძლევის გზებით მავალი.

და ცხრა იანვარს სანკგ-პეტერბურგში⁷⁸
იმპერატორის დიდ სასახლესთან
დახვრიტეს ხალხის დემონსტრაცია,
რამაც ცარიშმი მონსტრად აქცია.

74 ეს მოხდა 1902 წელს.

75 იგულისხმება იოსებ ჯულაშვილი, შემდეგ სტალინად ცნობილი.

76 იგულისხმება მეორე მსოფლიო ომის მოგება 1945 წლის მაისში ფაშისტურ გერმანიაზე.

77 იგულისხმება 1905 წლის დასაწყისი.

78 იგულისხმება 1905 წლის 9 იანვრის, მუშათა მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტა.

ამავ დროს მოხდა მუშათ გამოსვლა
ჭიათურაში, გორში, თელავში,
დედა ცფილისში, სიღნაღში, ბათუმს,⁷⁹
არც გლესს ეცალა ბრძოლებით გართულს.

თვითმმართველობის კრებაზე ცფილისს,
პოლიციამ და ჯარის ნაწილმა
დაუნდობელად დახვრიტა ყველა,⁸⁰
ვერაჲინ შეძლო განწირულთ შველა.

ცფილისში სცადეს სომეხ-თათართა
შეჯახებების პროვოცირება,
თუმც უშედეგოდ, ქართველ მუშებმა
სისხლისღვრის შეძლეს ძლივს აცილება.⁸¹

სოციალური და ეროვნული
გამოსვლის ძლევა ეჩვენა ძნელი,
რუსმა ამ მიზნის გადასაწყვეტად
აამოქმედა ბრახვანი ბნელი.

რევოლუციურ გამოსვლებს იმ ჯამს
მეფის რუსეთი ამარცხებს ყველგან,
თუმცა დროებით, რუსთ იმპერიას
მაღე ელოდა ტანჯვა და დელგმა..

ამ დროს დამპყრობთან პირისპირ დგება
დიდი ილია მის დასთან ერთად,
რუსთა ფარგლებში ავტონომია
ვისაც მიაჩნდა ხსნად მცირე ერთა.

79 ივლისსმება 1905 წლის იანვრის მუშათა დემონსტრაციები: ჭიათურაში, ხაშურში, ბორჯომში, გორში, სიღნაღში, თელავში, დუშეთში, ოზურგეთში.

80 1905 წლის აგვისტოში თბილისში თვითმმართველობის შენობაში პოლიციამ და ჯარმა დახვრიტა კრების მონაწილენი.

81 ეს მოხდა 1905 წელს. ნოე რამიშვილის ხელმძღვანელობით შეძლეს გრაგუდის აცილება.

მსგავს პეტიციით მიმართა ხალხმა
კონფერენციას იმ ჟამს ჰააგის,⁸²
პატრიოტებმა რა არ იცდილეს
თუმცა ეს ბრძოლა მგერთან წააგეს.

მრისხანე მონსტრმა უსასამართლოდ
რუსეთს ასახლა ქართველი ხალხი,
წარმოებები დახურა უმაღ
და ხალხის სწრაფვა შემოსა თალხით.

მკაცრ რეპრესიულ ღონისძიებებს
ისევ მიმართა შხამიან გველმა
და საიდუმლო ვითარებაში
დიდი ილია მოგვიკლა მგერმა.⁸³

მამულისათვის მარად მზრუნველი
გამოგვაცალეს მებრძოლი დიდი,
თვით უგვირგვინო მეფეს ერისას
არ დააცალეს ცხოვრება მშვიდი.

ილია და ერის მცნება
ქართველისთვის არის ერთი,
წიწამურის გრაგედია
გაწყრომაა ჩვენზე ღმერთის.

და იღეა ერის ხსნისა
მასთან ერთად ჩაესვენა,
არ დასცალდა საქართველოს
მგარვალისგან დაესვენა.

82 ეს მოხდა 1907 წლის 18 ივნისს.

83 ეს მოხდა 30 აგვისტოს, სოფელ წიწამურთან.

უბადრუკებმა – წმინდანზე
ბინძური ხელი აღმართეს,
იმ ხალხმა, ვინაც უფლის წილ
ემმა ბოროტი აღმართეს.

„საქართველოსაც მოკლავდნენ“,
რომ დასცალოდათ საგანებს,
თუმც ნელა-ნელა მუსრავდნენ
მამულის ლელოს გამგანებს.

ველარ მომომეს მკვლელებმა
ბერმუხის ვერრა აკლეს ხეს,
დიდი ილიას სიკვდილით
„საქართველო ვერ დამარხეს“.



და ამის შემდგომ ჩვენს სამშობლოში
მგრის შემოტევა ოდნავ ნელდება,
თუმც პოლიტიკურ მოღვაწთა მიმართ
რეპრესიები მაინც გრძელდება.

ამ პერიოდში რუსთა მთავრობამ
ჩამოასახლა საქართველოში
რუსეთის მკვიდრი მაცხოვრებელი
ქართველთა მოღვმის ამომგდებელი.⁸⁴

ამ დროისათვის წარმოების მრდა
შეიმჩნეოდა ტფილისში, ბათუმს,

⁸⁴ 1908-1915 წლებში საქართველოში ჩამოასახლეს 66 ათასი რუსი, რომელთაც დიდი რაოდენობით მიწები გამოუყვეს.

აღარ დასცალდა მრეწველობისთვის,
თუმცა ევროპას დიდ ომით გართულს.⁸⁵

საქართველოში იმ ჟამს გავლენა
ხალხზე დაკარგეს ბოლშევიკებმა,
ნდობის მოხვეჭა პარტიათ შორის
შესძლეს მხოლოდლა მენშევიკებმა.

ჩვენი მამულის ისტორიისთვის
უმნიშვნელოვან მოვლენად იქცა,
ხალხთა კონგრესზე წერეთლის სიტყვა⁸⁶
ჩაგრულთ დახსნისა რომ შობა კითხვა.

რუსთ მარწუხებში მოქცეულებზე
მოუხმო ბრძენმა დახმარებისკენ,
რომ მიემართა მსოფლიოს ნება
მცირე ერების გადარჩენისკენ.

აქტუალური ხდება იმ ხანად
ერთა ლომუნგი – თვითგამორკვევის,
ახლოვდებოდა ჟამი ზეალსელის
რუსთ იმპერიის უეჭველ რღვევის.



მსოფლიო ომმა უკან დასწია⁸⁷
საქართველოში მეურნეობა,
ძალზე გაძვირდა ქალაქს ცხოვრება
ცუდ დღეში დარჩა მოსახლეობა.

⁸⁵ იგულისხმება მსოფლიო ომის მოახლოება, რომელიც დაიწყო 1914 წელს.

⁸⁶ 1916 წელს ქ. ლიბანაში ერთა შესაშუ კონგრესზე მოხსენებით გამოვიდა მისიელ (მისაკო) წერეთელი.

⁸⁷ იგულისხმება პირველი მსოფლიო ომი, რომელიც დასრულდა 1918 წელს.

რევოლუცია მოჰყვა ამ ომსა,
ბურჟუაზიამ მეფე დაამხო,⁸⁸
ახალ დროებამ ასე, ამგეარად,
ცარიზმის ყლორტი უმაღ გაახმო.

ტფილისს შეიქმნა მუშათა საბჭო,
ხელმძღვანელობდა მას ჟორდანიას,⁸⁹
რუსთ იმპერიას თანდათანობით
უმოკლდებოდა სიგრძე-განია.

მაღე დროებით მთავრობის მიერ
ჩამოყალიბდა აქ „ოზაკომი“,⁹⁰
რუსთა ინტერესს საქართველოში
წარმოადგენდა როს ხარლამოვი.⁹¹

ბოლშევიკებმა ექვსი თვის შემდეგ
წინა მთავრობა დაამხეს უმაღ,⁹²
და „ოზაკომიც“ მაღე ემსგავსა
მიცვალებულსა ცივსა და მდუმარს.

საქართველოში არცერთ პარტიამ
არ სცნო პროლეტართ რევოლუცია,
და გაემიჯნა საბჭოთა რუსეთს,
ვის ბარბაროსთა ქაზმა უწია.

ბოლშევიკები თავისას ბჭობდნენ
კავკასიაში არრას დასთმობდნენ.

88 იგულისხმება 1917 წლის თებერვალ-მარტი.

89 ეს მოხდა 1917 წლის ნოემბერში.

90 1917 წლის მარტში შეიქმნა თბილისში რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ დანიშნული სამხარეთო ხელისუფლების ორგანო, ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი).

91 იგულისხმება რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის წევრი, რომლის თავმჯდომარე იყო ვ. ხარლამოვი.

92 იგულისხმება 1917 წლის ოქტომბრის მუშათა რევოლუცია.

განაწყენებულ რუსეთმა მალე
ხეს მამულისას მიაჭრა განი,
ოსმალთ დაუთმო ბათუმი, ყარსის
ვრცელი ოლქები და არგაანი.⁹³
დაეპატრონა ოსმალთ ბათუმს
რუსის სივრცეში მანამდე ჩართულს.

იმ ქამს აჭარა სულ აირია,
ცუდს უმზადებდა მტერი ორგული,
თურქიც ლამობდა გადაბირებას,
თუმც მისი ქვეყნის დარჩა ერთგული.

ამ სამომავლო საქმეს წინამძღვრად
აბაშიძეთა ჩაუდგა გვარი,
და მეშელ ბეგის იდეებს ბრძნულსა⁹⁴
არ გასჩენია არასდროს ბზარი.

მალე ოზურგეთს მიაღვა თურქი,
მთელი მესხეთი თითქმის დაიპყრო,
ქვეყნის მთავრობამ ჩოლოქის პირას
მტრის შეჩერება თუმცა დაიწყო.⁹⁵

პირსისხლიანი ოსმალთ თვლიდა
მამულსა ჩვენსას ნაწილად რუსის,
თვითმყოფადობის გამოცხადების
მიგომ აიღო მთავრობამ კურსი.

93 იგულისხმება 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის სეპარატისტული ზავი, რომელიც საბჭოთა რუსეთმა დადო თურქეთთან.

94 მეშელ-ბეგ აბაშიძე (1873-1937 წ.წ.) გახლდათ ცნობილი სამოგადო მოღვაწე, სრულიად საქართველოს პატრიოტი, ფასდაუდებელია მისი წვლილი აჭარის დედა-სამშობლოსთან შეერთების საქმეში. 1937 წლის სექტემბერში რეპრესიების დროს იქნა დახვრეტილი.

95 იგულისხმება 1918 წლის აპრილი.

და თვრამეგი წლის ოცდაექვს მაისს
ეროვნულ საბჭოს სხდომაზე ერთხმად
ჩვენ რესპუბლიკად გამოგვაცხადეს
სუვერენული გაფხდით ამ ქვეყნად.⁹⁶

მალე ოსმალომ სამცხე-ჯავახეთს
სულ მოაშორა თავისი ჯარი,
თუმცა სეფერ ბეგს – ზრახვებით ბნელსა⁹⁷
სურდა თავისი ჰქონოდა ზღვარი.

სცადა მამულის ორად გაყოფა,
მაგრამ დასძლია ქართველმა ჯარმა
და ჯავახეთიც შევინარჩუნეთ
ვერრა ღაგვაკლო ბორიო ქარმა.

შემდგომ რუსეთმა მოიწადინა
ჩვენთვის ებუნგა აფხაზი, ოსი,
და სამაჩაბლოს ჯანყმა იფეთქა,⁹⁸
თუმც მტერმა მაშინ დრო ვერ იხელთა.

საუბედუროდ გვიტევედა იმ კამს
მემობლად მყოფი სომხების ჯარიც,⁹⁹
ითხოვდნენ მიწებს ტფილისის ჩათვლით,
არ ვალევეინეთ თუმცაღა წყალი.

96 იგულისხმება 1918 წლის 26 მაისი, როდესაც საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. მთავრობის თავმჯდომარე გახდა ნიუ ჟორდანიძე.

97 აბაღიების აიაბაგი, სეფერ-ბეგი, რომელმაც სცადა სამცხე-ჯავახეთის ჩამოცილება საქართველოდან, 1919 წელს ქართულმა ჯარმა ის დაამარცხა. და სამცხე-ჯავახეთი შენარჩუნებული იქნა.

98 1920 წელს შიდა ქართლში, საბჭოთა რუსეთის მიერ წაქეზებულმა ოსმა სეპარატისტებმა შეიარაღებული აჯანყება წამოიწყეს, მიზანი იყო (სამხრეთი ოსეთის) შიდა ქართლის საქართველოდან ჩამოცილება და საბჭოთა რუსეთთან შეერთება, მაგრამ საქართველოს სახალხო გვერდიამ და ქართულმა ჯარმა ვალიკო ჯუღელის მეთაურობით შეძლო სეპარატისტთა აჯანყების ჩახშობა.

ხოლო მანამდე 1918 წლის მაისში მსხვერპლში შეიქმნა აფხაზეთში. საბჭოთა რუსეთის მხარდაჭერით აფხაზი სეპარატისტები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა აფხაზეთი საქართველოსთვის ჩამოეცილებინათ. საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა, აფხაზეთში ქართული ჯარისა და სახალხო გვერდის ნაწილები შეეყვანა და სეპარატისტები აეღაგმა.

99 ეს მოხდა 1918 წლის დეკემბერში. სამხრეთი საქართველოსაგან ითხოვდა უზარმაზარ გერიგორიას თბილისის ჩათვლით. ქართულმა ჯარმა ისინი სასტიკად დაამარცხა. სომხეთის მთავრობა იძულებული გახდა დროებით უარი ეთქვა გერიგორიულ პრეტენზიებზე.

აქაც ვიმარჯვეთ, მგერი დაგძლიეთ
და განსაცდელის ეს გზაც განველიეთ.



ოსმალო მალე მსოფლიო ომში
მარცხდება, უმალ აჭარას ტოვებს,¹⁰⁰
მათ ენაცვლებათ ინგლისის ჯარი,¹⁰¹
მტრის წაქეზებით განცხრომას ჰპოვებს.

თუმც ინგლისელნიც გვტოვებენ მალე,¹⁰²
მამული ჩვენი იკრებდა ძალებს.
თურქი ჯერ კიდევ ჩვენ მიწებს ფლობდა,
რუსიც თავის მხრივ სხვაგვარად ბჭობდა.
ოსსა და აფხაზს გვისევდა ისევ,
ოქროთი საფსეს აძლევდა ქისებს.

ტერიტორიულ მთლიანობისთვის
გველოდებოდა წინ დიდი ბრძოლა,
მერამდენეჯერ სამშობლო ჩვენი
ალყაში ჰყავდა მგარვალთა ხროვას.

მალე თავის გზით მავალ ქვეყანამ
ლაშქარიც შექმნა თავდადებული,
გენერალიტეტს ქართველთა ლაშქრის
თავში ჯუღელი ედგა ქებული.¹⁰³

100 ეს მოხდა 1918 წლის დეკემბერში.

101 ეს მოხდა 1918 წლის დეკემბერში, თურქების გასვლის შემდეგ ბათუმიდან.

102 1920 წლის ივლისში ინგლისელებმა დატოვეს საქართველო.

103 1917 წლის შემოდგომაზე იწყება სახალხო გვარდიის შექმნა. ჩამოყალიბდა რამდენიმე პოლი, რომელიც გაერთიანდა ქართულ კორპუსში, ადრე კი იწყება იმავე წელს გაზაფხულიდან სახალხო გვარდიის შექმნა, რომლის მთავარი შტაბის უფროსი იყო ვლადიმერ (ვალეიკო) ჯუღელი.

მისი სარდლობით, ჩვენმა მხედრობამ,
შეინარჩუნა ქვეყნის საზღვრები,
გარეშე მტრების დარბევისაგან
დაიხსნა ქართველთა წმინდა ტაძრები.

ხელისუფლება პირველყოვლისა
ბრუნავდა ხალხის ყველა ფენაზე,
მოქალაქეებს რათა იმ ჟამად
ეჭვი ეთრგუნათ ხვალის რწმენაზე.

ყველა გლესს ერგო მიწის ნაკვეთი
როცა ჩატარდა რეფორმა სოფლად,¹⁰⁴
არც სახელმწიფო, კერძო სექტორი
არ დარჩენილა იმ ხანად თბილად.

დამყარდა მათი თანასწორობა
დაიგმო უმაღლესი მუქთახორობა.

და მრეწველობა საქართველოში
განვითარებულ სახეს იძენდა,
შეიქმნა ყველა პირობა იმის,
რომ სიღუხჭირე ვეღარ ილხენდა.

ყველა ერის და სარწმუნოების
თანარსებობა შეიქმნა სრული,
აღმაშენებლის ღროების მსგავსად
როს ყველას ჩვენსკენ უწევდა გული.

თვით პარლამენტში დელეგატებად
იყვნენ შვილები სხვადასხვა ერის,

¹⁰⁴ იგულისხმება საქართველოში აგრარული რეფორმის გატარება დამოუკიდებლობის პირველივე წელს.

დამტკიცდა მალე კონსტიტუცია,¹⁰⁵
ჰიმნი, გერბი და ღრეშა სამფერი,
ქართულ ენასაც პიროველობისა –
მშობელ სივრცეში დაუღბა ჯერი.

ფეხზე დგებოდა ჩვენი ქვეყანა
შრომის ფერხულით იყო გართული,
თითქოს გვეშველა, გამოიღარა,
თავის თავს ფლობდა გენი ქართული.

და ჟორდანიას მთავრობა, იმ ჟამს,
მწირ ბიუჯეტის მიუხედავად,
ყველგან ქართული სკოლები გახსნა,¹⁰⁶
რუსულისაგან გვეღირსა დახსნა.

სამეცნიერო კვლევით სამსახურს
მალე ტფილისში აეღბა ფეხი,¹⁰⁷
და თეატრებიც კვლავ ამოქმედლა,
რაც ეცემოდა მტერს გულზე მეხად.

მწერალთა კავშირს, იმჟამად შექმნილს,
მეთაურობდა თაყაიშვილი,¹⁰⁸
უნივერსიტეტს – პირველად გახსნილს
მეცენატობდა ჯავახიშვილი.

¹⁰⁵ ეს მოხდა 1921 წლის 21 თებერვალს.

¹⁰⁶ 1921 წლისათვის საქართველოში ყველა სახის მოგაღსაგანმანათლებლო სკოლის რიცხვა 20 ათასს გადააჭარბა.

¹⁰⁷ 1920 წელს შეიქმნა საქართველოს ცენტრალური სამეცნიერო არქივი. დაიწყო საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის აუცილებელი მასალის თავმოყრა და დამუშავება.

¹⁰⁸ 1917 წელს შეიქმნა საქართველოს მწერალთა კავშირი, თავმჯდომარე იყო კოტე მაყაშვილი, რომელმაც დიდი ნაყოფიერი მუშაობა გასწია.

1917 წელს შეიქმნა თბილისის კონსერვატორია.

1920–1921 წლების სეზონით დაარსდა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი. მუღზივად მოქმედებდნენ ქუთაისისა და ბათუმის თეატრები.

ამ ცოდნის კერამ ნათელი კვალი
დატოვა ქვეყნის ისტორიაში,
სულიერ საზრდოს აძლევდა ქართველს
სამშობლოსათვის მედგარ ბრძოლაში.

დაარსებისვე წელს რუსმა სცადა
თავის გზით მავალ ქვეყნის დაპყრობა,
თუმც ბოლშევიკმა ჩვენს მიმართ მაშინ
ვერ გაავრცელა ცუდი მოპყრობა.

რუსეთმა იმ კამს საქართველოსთან
ღადო მზაკერული ხელშეკრულება,¹⁰⁹
თითქოს სცნო, მაგრამ კვლავ დაუპირა
ცარიშმის მსგავსად დაუძღურება.

და მალე იპყრობს იგი მეზობელ
სომხეთს, მუსაგაგ აზერბაიჯანს,¹¹⁰
თავისვე წყობას უმაღ ამკვიდრებს,
არად ჩააგდებს აქაურ მკვიდრებს.

არ დაახანა, მალე მოგვადგა
ძღვეამოსილი თავისი ჯარით,
და ირგვლივ ყველამ გაგვწირა მაშინ,
არ დაგვიჭირა არავინ მხარი.¹¹¹

„აჯანყებული მშრომელი ხალხის
თხოვნით“ დაესხნენ ჩვენს რესპუბლიკას,
და შენიღბული მზაკვრობის წესით
დაეპაგრონენ ქართულსა მიწას.

109 1920 წლის მაისში საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკასა და რუსეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, სადაც რუსეთმა სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

110 1920 წელს რუსეთმა დაიპყრო აზერბაიჯანი, შემდეგ კი სომხეთი.

111 1921 წელს საბჭოთა რუსეთთან ომში ჩაბმულმა საქართველომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან დაშხარება ვერ მიიღო, ამას დაერთო ისიც, რომ 1921 წლის 16 მარტს თურქები ბათუმში შევიდნენ და მოითხოვეს იქ მყოფი ქართული ჯარების განიარაღება.

ტფილისს იმჟამად ებურა თალხი,
თავგანწირულად იბრძოდა ხალხი.

იუნკერებმა სიცოცხლის ფასად¹¹²
უკუაქციეს კიდევაც მტერი,
მაინც ვიწვნიეთ სასტიკი მარცხი
და განსაცდელში ჩავარდა ერი.

და ჟორდანიას მთავრობამ უმაღ
საფრანგეთისკენ აიღო გეზი,
ანექსირებულ ჩვენს ქვეყანაში
ბოლშევიკების დამყარდა ცენზი.

გარიგებებით დიდ ქვეყნებს შორის
„თავისუფლებას“ კვლავ ვჭვრეტდით შორით.

და გრაპიზონის გავის თანახმად¹¹³
ოსმალთ ბათუმს „ეწვია“ უმაღ,
თუმც აქაურნი, ხმალამოწვდილნი,
მედგრად დაუხვდნენ მრისხანე „სტუმარს“.

გაერთიანდა მგრის წინააღმდეგ
ქართული ჯარიც ამ დროს დაშლილი,
მას სათავეში ედგა გიორგი
მხნე გენერალი – მაზნიაშვილი.

და აჭარლებმაც არ დაახანეს,
უმაღ აღკვეთეს ოსმალთ პარპაში,
ერთიან ძალით, უდრეკი ნებით
მტერს დაუყენეს ეამი განგამის.¹¹⁴

¹¹² ეს მოხდა 1921 წლის 18-20 თებერვალს, 23 თებერვალს თბილისში დაკრძალეს დედაქალაქის დაცვისათვის ბრძოლებში დაღუპულები.

¹¹³ 1918 წლის 14 მარტს ქ. გრაპიზონში (თურქეთი) დაიწყო ამიერკავკასია-თურქეთის საზავო მოლაპარაკება.

¹¹⁴ ეს მოხდა 1921 წლის 17 მარტს.

მათ გაუთხარეს საფლავი ძმური,¹¹⁵
ვინაც ოსმალნი მამულს არიდეს,
სამშობლოსათვის თავდადებულებს
ჩვენი ქვეყანა დღესაც აღიღებს!

დაეპატრონა თუმც ბათუმს რუსი
და ისევ მიღგა ერებს პატარებს,
ბოლშევიკებმა მთელი სიმტკიცით
რეპრესიები ხალხში აგარეს.

და იმპერიის ნანგრევზე ასე
იქმნა საბჭოთა ხელისუფლება,¹¹⁶
ბედკრულ სამშობლოს გადამთიელმა
ისევ ანატრა თავისუფლება.

თავისუფლების ისევ დაკარგვას
ვერ შეურიგდა ქართველი ერი,
თავზე დამტყდარმა ამ გრაგელიამ
გამოაფხიზლა ჯეელი, ბერი.

მაღლე აჯანყდა მთელი სევანეთი,¹¹⁷
რაჭა-ლეჩხუმი მოიცვა ბრძოლამ,
ექვსი თვე მედგრად დამდგარი ხალხი
თუმცა ამარცხა ბოლშევიკთ სროვამ.

115 ძმობა საფლავი მღებარეობს ქ. ბათუმში მზიად გამსახურდიას მოედანზე, სადაც განისვენებს ორმოცდაათი გმირი ქართველი საქართველოს ყველა კუთხიდან.

116 1921 წლის 25 თებერვალს დაარსდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება.

117 1921 წლის მაისულში სევანეთში დაიწყო აჯანყება. აჯანყებულთა ხელმძღვანელობამ თბილისში დელეგაცია გაგზავნა და საქართველოს რევკომს შემდეგი მოთხოვნები წაუყენა: პირველი – რუსეთის ჯარების გაყვანა საქართველოდან; მეორე – ახალი ხელისუფლების ასარწევად თავისუფალი არჩევნების ჩატარება. ხელისუფლებამ სევანეთში დიდი დამსჯელი ექსპედიცია გაგზავნა. სევანები მედგრად დაუხვდნენ მგერს, დაამარცხეს და 500 ჯარისკაცი გყვედ აიყვანეს. 1922 წლის გაზაფხულზე კვლავ დაეხსნენ სევანეთს ახალი ძალებით. სევანებმა კვლავ უკუაქციეს მგერი, მაგრამ ბოლოს დამარცხდნენ. დაიწყო სასტიკი რეპრესიები.

ხევესურეთში და კახეთშიც იმ კამს
ჩოლოყაშვილის რაზმი ფხიბლობდა,¹¹⁸
ლაშქარაშვილიც¹¹⁹ აჯანყდა ქართლში
მტრის შემუსვრაზე ისიც ფიქრობდა.

ჩოლოყაშვილის რაზმმა ქინვალთან
უკუაქცია რუსთა ნაწილი,
თუმცა შემდგომში თვით დაიხია,
ბევრჯერ ამოკლა მტრამდე მანძილიც.

ამ დროისათვის კათალიკოსმა¹²⁰
კონფერენციას მიმართა ერთა,
ბოლშევიკთაგან გამოსახსნელად
ჩვენი ქვეყანა ეძებდა მხსნელთა.

ხოლო მანამდე – სამღვდელოებას
საქართველოში რუსთ ეგზარქოსი
„გაუმასპინძლდა“ კაზაკთ მათრახით,¹²¹
რითაც აკეთა საქმე საძრახი.

118 იგულისხმება ქაქუცა ჩოლოყაშვილი, რომელმაც ჩამოაყალიბა პარტიზანული რაზმი. 1922 წელს ამ რაზმმა ვინვალთან დაამარცხა რუსეთის ჯარის ერთი ნაწილი.

119 იგულისხმება მხიელი ლაშქარაშვილი, რომელმაც ქართლში შექმნა პარტიზანული რაზმი.

120 1922 წლის აპრილში ქალაქ გენუაში (იტალია) გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ამბროსი ხელაია მემორანდუმით მიმართა ამ კონფერენციას, რომელიც მოითხოვდა: პირველი – რუსეთის საოკუპაციო ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას საქართველოდან; მეორე – ქართველი ერისთვის სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებში თავისუფლების მინიჭებას. საოკუპაციო ხელისუფლებამ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი დააპატიმრა. სასამართლო პროცესზე ამბროსი ხელაიამ შემდეგი სიტყვებით მიმართა მოსამართლეებს: „სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, გული – ჩემს სამშობლოს, მშორი, ჯალათი – თქვენ და რაც გინდათ ის უყავით მას“. ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი გენუის კონფერენციაზე არ დაუშვეს.

121 ერთგული მოძრაობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა ქართული სამღვდელოების ე.წ. ავტოკეფალისტთა მოძრაობა, რომლის მიზანი იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. ავტოკეფალისტთა მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ: გიორგი საბაგლიშვილი (შემდგომში კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II), ლონგინოზ ოქროპირიძე (შემდგომში კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდი), ბესარიონ ხელაია (კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი) და სხვა. საქართველოს ეგზარქოსმა ნიკონმა 1907 წელს თბილისში კაზაკების ძალებით დაარბია ავტოკეფალისტთა კრება, მის მონაწილეებს მათრახებით სცემეს. რეპრესიული ღონისძიებების გაგრძელების მიუხედავად ავტოკეფალისტთა მოძრაობა მაინც გრძელდებოდა.

ერის შვილებმა იმ ხანად შექმნეს
„სამხედრო ცენტრი“ სპეციალური,¹²²
თუმცა ჩავარდა ეს მოძრაობა
გარკვეული ხნით მტრისგან ფარული.

დახვრიტეს ცენტრის დამფუძნებლები¹²³
ოფიცრები და მხნე გენერლები,
კოტე აბხაზი, მუსხელიშვილი,
წულუკიძე და ხიმშიაშვილი.

ჭიათურაშიც იფეთქა ჯანყმა¹²⁴
ხალხს იარაღი აეღო ხელში,
სამ დღეს გასგანა სისხლიან ბრძოლამ,
თუმცა ქვეყანა კვლავ დარჩა ბნელში.

დაახლოებით ოთხი ათასი
კაცი იმსხვერპლა რესპრესიებმა,
ბევრი დახვრიტეს – გადაასახლეს,
ისევ იხარა გადამთიელმა.

122 1922 წელს შეიქმნა „სამხედრო ცენტრი“.

123 1923 წელს „სამხედრო ცენტრი“ ჩავარდა. მისი მონაწილენი დახვრიტეს. გენერლები: კონსტანტინე აუხაზი, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ვარლენ წულუკიძე, როსტომ მუსხელიშვილი. პოლკოვნიკები: გიორგი ხიმშიაშვილი, ელიზბარ გულისაშვილი, ივანე ქუთათელაძე და სხვა ქართველი ოფიცრები. „სამხედრო ცენტრის“ ჩავარდნის შემდეგ დაიწყო მასობრივი რეპრესიები. დააპატიმრეს დამკომის თავმჯდომარე ნიკოლოზ ქარცივაძე. დამსჯელმა ექსპედიციებმა ააოხრეს გურია, კახეთი, სვანეთი და საერთოდ საქართველო.

124 1924 წლის 28 აგვისტოს ჭიათურაში დაიწყო შეიარაღებული გამოსვლა. რაც დათქმულ დროზე ერთი დღით ადრე უსწრებდა შეიარაღებულ გამოსვლას საქართველოს სხვა რეგიონებში.

მიუხედავად შეიარაღებული აჯანყების არაორგანიზებულად დაწყებისა, შეიარაღებული გამოსვლები მოედო გურიას, სამეგრელოს, სვანეთს, იმერეთს, ქართლს, კახეთს. სამი დღის განმავლობაში საქართველოს ყველა კუთხეში მიმდინარეობდა ბრძოლები აჯანყებულთა და დამსჯელ ექსპედიციებს შორის. 4 სექტემბერს შეიპყრეს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ თავმჯდომარე კონსტანტინე ანდრონიკაშვილი და მდივანი იასონ ჯაფარიშვილი. აჯანყების პირველხავე დღეს თბილისის ციხიდან გამოიყვანეს და დახვრიტეს პოლიგაგამრები, სიკვდილით იქნენ დასჯილნი რუსეთის ციხეებში ადრე გადაგზავნილი პოლიგაგამრებიც. განსაკუთრებული სისასტიკის ფაქტს ჰქონდა ადგილი სადგურ ყვირალასთან, სადაც ვაგონებშივე დახვრიტეს ჭიათურიდან ჩამოყვანილი მრავალი ადამიანი. მარგო სამეგრელოში სიკვდილით დასაჯეს 450-ზე მეტი კაცი. სულ რეპრესიებს ემსხვერპლა დაახლოებით 4 ათასი კაცი.



და შემდგომ წლებში იმპერიაში
საბჭოთა წყობა გამყარდა ყველგან,
ხალხს, განაწამებთ რუსთ მარწუხებში
ისევ ელოდა განჯვა და დელგმა.

და საკუთრების ლიკვიდაციით
მოშალეს სოფლის მეურნეობა,
თუმც ვითომ მიწის გლეხზე მიცემით
გადაიბირეს მოსახლეობა.

შემდგომში, მალე, რაც კი გააჩნდათ –
კოლექტივებში აერთიანეს,¹²⁵
და სახელმწიფო გეგმის წესებით
ღარიბი ხალხი „დააფრთიანეს“.

ბოლშევიკებმა კერძო სექტორი
ასეთ ქმედებით ყველგან აკრძალეს,
ის სახელმწიფოს დაუმორჩილეს
და ცისქვეშ უცხო ნერგი ახარეს.

და სახელმწიფოს ხელში გადავიდა
ყველა ქარხნები და ფაბრიკები,
მეწარმეების ნაჯაფ-ნალვაწსა
მოულოდნელად უკვეცეს ფრთები.

¹²⁵ 1932 წლისათვის საბჭოთა ხელისუფლებამ შეძლო კოლექტივიზაციის გაგარება. სოფლად მიწაზე კერძო საკუთრება ძირითადად ლიკვიდირებული იქნა. კოლმეურნე გლეხობის სახით ხელისუფლებამ სოფლად ძლიერი დასაყრდენი შეიქმნა.

ხელისუფლებამ მალე დაიწყო
ამუშავება წარმოებისა
და მუშათა კლასს, აქამდე ჩაგრულს,
ცხოვრების ღონის წინსვლა ეღირსა.

თუმც თავის არსით საბჭოთა წყობა
ყოველ ეროვნულს ძალით თრგუნავდა,
კოსმოპოლიტურ დიდი ოჯახის
შექმნაზე იგი მარად ზრუნავდა.

მალე მიიღეს კონსტიტუცია¹²⁶
განკარგულებით უმაღ „ზევიდან“,
ახალ საბჭოურ ოჯახის ჯგუფში
ჩვენი ქვეყანა „ცალკე“ შევიდა.¹²⁷

ვითარდებოდა ჩვენს სამკვიდროში
იმ ეამს „სახალხო“ მეურნეობა,
დაემორჩილა თუმც ყოველივე
მოსალოდნელი ომის „ზნეობას“.

პოლიტიკური რეპრესიები
თუმც საბჭოეთში მაშინაც იყო,
ხალხთა დათრგუნვის ახალი გაღლა
ოცდაათიან წლებში დაიწყო.¹²⁸

126 1936 წელს მიღებული იქნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია.

127 1936 წელს გაუქმდა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერალურ-სოციალისტური რესპუბლიკა და საქართველო თავისი სახელით შევიდა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში. 1937 წელს მიღებული იქნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპ. კონსტიტუცია.

128 იგულისხმება 1937 წლის სისხლიანი რეპრესიები. რეპრესიები შეეხო ყველა კლასსა და სოციალურ ფენას, მაგრამ განსაკუთრებით დაზარალდა ინტელიგენცია. 30-იანი წლების პოლიტიკურმა რეპრესიებმა აუნაზღაურებელი დანაკლისი მიაყენა საქართველოს, ქართულ კულტურას, ქართულ მეცნიერებას. საზოგადოებაში დამკვიდრდა შიშისა და უნდობლობის სინდრომი, რომლის დაძლევა საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა.

ხალხის შიშის და უნდობლობისა
დიდმა სინდრომმა ფესვი გაიდგა,
პირსისხლიანმა ეშმას აჩრდილმა
ჩვენს პლანეტაზე ფეხი აიდგა.

სოციალური წყობის სანაცვლოდ
იშვა სისტემა ყველგან მსგოვრული,
ძალმომრეობას დამყარებული
პროლეტარების დიქტატურული.

რომელიც მკაცრად თელავდა ხალხის
დემოკრატიის პრინციპებს ღიადა,
ასადგურებდა რაც ყველგან წყვდიადა.



ამასობაში დაიწყო ომი,¹²⁹
ფაშისტთა ხროვას, საბჭოეთს შორის
და საქართველოს მოსახლეობაც
მსხვერპლად გადიქცა უმკაცრეს ბრძოლის.

ომის შედეგი საქართველოსთვის
საუბედუროდ მძიმე გამოდგა,
სამასი ათას დაკარგულ კაცის
გმირობა ფრონტის ხაზზე გამოჩნდა.

ომით მიღებულ ჭრილობებისგან
შემდგომში ბევრი გარდაიცვალა,
ეკონომიკურ-დემოგრაფიულ
სიტუაციამ სახე იცვალა.

129 1941 წლის 22 ივნისს დაიწყო მეორე მსოფლიო ომი.

მკაცრი წალეკვით ემუქრებოდა
სამყაროს ჩვენსას ფაშიზმი მძლავრი,
მერე მგარვალზე გამარჯვებისთვის
ბევრმა სტალინზე¹³⁰ იყარა ჯავრი.

ფაშიზმი ისე საშიში იყო,
სხვებმაც აწვდინეს საბჭოეთს ხელი,
დახმარებისთვის გვერდით დაუდგნენ
ამერიკელნი და ინგლისელნი.



ამ ომის შემდგომ აღდგენილ იქნა
მეურნეობა მგრისგან მოშლილი,
მშრომელთა მასა მალე შეიქმნა
ხვალის იმედით ისევ მოსილი.

მეურნეობის აღდგენას მოჰყვა
ჩვენთან კულტურის აღორძინებაც,
არც განათლება, მეცნიერება
ჩამორჩებოდა დროის დინებას.¹³¹

საყოველთაო განსწავლულობამ
შემოიგანა ხალხთა მასებში
უცოდინრობის ლიკვიდაცია,
რაიც შეეხო ყველა „ნაციას“.

უფასო სწავლით სასწავლებელში
ლაგაკსაც ცოდნის კვალი დააჩნდა,
თბილისს, ქუთაისს, ბათუმს, თელავში
ინსტიტუტები ყველგან დაარსდა.

¹³⁰ იოსებ სტალინი, იოსებ ჯუღაშვილი (1889-1953 წ.წ.) ოცდაათ წელზე მეტი მართავდა საბჭოთა ხელისუფლების მთავრობას.

დღესაც ამშვენებს განჯულ სამშობლოს
განსწავლულები იმ დროის, – ვადის,
საუბედუროდ ბევრი მათგანი
მცირე პენსიით ამ ქვეყნად ღაღის.

რეპრესიებმა ჩვენს მწერლობასაც
მალე დროება ანატრა მშვიდი,
მიუხედავად ამისა მაინც
გამოჩნდნენ ჩვენთან მწერლები დიდი.¹³²

131 1930–1934 წლებში საქართველოში შემოღებულ იქნა საყოველთაო-საგადაღებო სწავლება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტების ბაზაზე დაარსდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1928 წ.), საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (1929 წ.), თბილისის საშუალო ინსტიტუტი (1930 წ.), დაარსდა ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (1929 წ.) დაარსდა მათემატიკის ინსტიტუტი (1933 წ.), შეიქმნა ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (1935 წ.) დაარსდა ენის, ისტორიისა და მაგერიალური კულტურის ინსტიტუტი (ენიკეი) (1936 წ.), 1941 წელს შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, სადაც იღვწოდნენ ცნობილი ქართული მეცნიერების კორიფეები.

საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პრობლემას მიეძღვნა სარგის კაკაბაძის, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის გამოკვლევები. ქართულ ფილოსოფიურ სკოლას გაუთქვა სახელი შალვა ნუცუბიძემ, ფიქციოლოგიის დარგში მსოფლიო მნიშვნელობის გამოკვლევები შექმნა დიმიტრი უშნაძემ. ქართული ხელოვნების ისტორიაში, კერძოდ, ქართული სურთიშობღერების ისტორიაში, ფუნდამენტური გამოკვლევები შექმნა გიორგი ჩუბინაშვილმა. მათემატიკის მეცნიერების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ანდრია რამზაძემ და ნიკოლოზ მუსხელიშვილმა. საქართველოში ფიზიოლოგიური მეცნიერების ჩასახვა და განვითარება დაკავშირებულია ივანე ბერიგაშვილის სახელით. ალექსანდრე ჯანელიძისა და ალექსანდრე თეაღორელიძის მიერ შექმნილმა ქართულმა გეოლოგიურმა სკოლამ მეცნიერება გააძლირა უმნიშვნელოვანესი გამოკვლევებით. ალექსანდრე ჯავახიშვილმა ქართულ შექმნა გეოგრაფიის პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო. ქართული ისტორიოგრაფიის დიდი მოღვაწე დაკავშირებულია ივანე ჯავახიშვილისა და მისი მოწაფეების სახელით. მოღვაწე მხატვრებიდან აღსანიშნავია გიგო გაბაშვილის, მოსე თოთბის, ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის, ელენე ახვლედიანის, ქეთევან მაღალაშვილის, უჩა ჯავახიშვილის, სრული თოთბის და სხვათა შემოქმედება. ქართული ქინძაკების განვითარებაში განსაზღვრული იყო აკაკო ნიკოლაძის შემოქმედება. 20–30-იანი წლები ქართული თეატრის დიდი აღმშენებლის პერიოდია. თეატრალური ცხოვრების მოღვაწედ იქნა რეჟისორი კოცე მარჯანიშვილი, წარუშლელი კვალი დატოვა თეატრის ცხოვრებაში ალექსანდრე (სანდრო) აბეცელაძე. 20-იანი წლების ბოლოს ქართულ კინემატოგრაფიაში მოვიდნენ ახალგაზრდა რეჟისორები: მისეილ ჭიაურელი, ნიკოლოზ მჭედია, სიკო დოლიძე, ლეო ესაკია, დავით ტონელი და სხვები. ქართული კინემატოგრაფიის დიდი წარმატება განაპირობებს შესანიშნავი მსახიობები: ნაგო ვაჩაძე, ვერაკო ანჯაფრებიძე, აკაკი ხორავა, ალექსანდრე ჟორელიანიძე, სერგი მაქარაძე, შალვა დაბაშიძე, თამარ ციციშვილი, უშნაძე მხეიძე, სარგაქ ბაღაშვილი, აკაკი კეჩელაიანი, ბათუ კრავიშვილი, აკაკი ხინთიბიძე და სხვები.

132 იგულისხმება ევრეთილობული „აკადემიური ჯგუფი“ – კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ ერისთავი, მისეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ლეო ქიანელი და სხვა „კოსმოგრაფიკული“ – პაოლი იაშვილი, გიკია გაბიძე, ვალერიან გაფრინაშვილი, გიორგი ლიონიძე, ფეკრისიძე – სიმონ ჩიქოვანი, აკაკი ბელაშვილი, დენი მხედია და სხვა. „აროფონოლოგი“ – შალვა ღაღინა, კონსტანტინე ჭიჭინაძე, გვრიტი ქიქოძე და სხვ. მდიდარი შემოქმედება დაგვიტოვა: ნიკო ლორთქიფანიძემ, ალექსანდრე ქეთათელმა. ქართული ლექსის ჯაღიქარმა – ვალაგეთი გაბიძემ, ქართული პოეზიის საგამბური გააძლიერა ალექსანდრე აბაშელს, გერენგი ფრანგელს, ლადო აბათიანს, მარმა გუგუშვილს, ლექსიშვიტს.

1920–1930-იანი წლების ქართული დრამატურგიის განვითარებაში დიდა პოლიკარპე კაკაბაძის წვლილი. სწორედ ამ ეპოქაში შეიქმნა მისი საყოველთაო ცნობილი ნაწარმოები „ყვარყვარ თუთაბერი“.

საბჭოთა ქვეყნის მოქალაქენი
ურთიერთობდნენ – მიმოდიოდნენ,
დასაქმებული იყო ყოველი,
ლუკმის შოვაზე არც კი ჩიოდნენ.

თუმცა შეზღუდული იყო მიმოსვლა
კაპიტალისტურ ქვეყნებში, თითქმის,
საზღვარგარეთში იცოდნენ ერთი,
საბჭოთა ხალხზე რუსი რომ ითქმის.

როგორც ვთქვით, ომში საბჭოთა ხალხმა
დასძლია მტერი მეგალ ვერაგი,
თუმცა საბჭოეთის ახალ მარწუხებს
ვერ დააღწია თავი ვერავინ.

ბოლშევიკების მსოფლმხედველობით
თვით კომუნიზმი არის უფალი,
და ამიგომაც არად მიაჩნდათ
ბრძენკაცთა აზრი თავისუფალი.

შუა აზიის საშინელ ხვატში
გადაასახლეს ხალხი მრავალი,¹³³
„მეგრელთა საქმეც“ მოღალატური
კრემლის კედლებში გახდა მავალი.

133 1951 წელს საქართველოდან პოლიტიკური მოტივით ყაზახეთსა და შუა აზიაში გადასახლეს რამდენიმე ათასი კაცი. ძირითადად ინგელივენცია. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც 30-იან წლებში უკვე იყვნენ მსჯავრდებულები და სასჯელიც მოხდილი ჰქონდათ. გადასახლებულთა ნაწილს კვლავ ყოფილი სამხედრო გვყევები, პარტიზანული და წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილენი შეადგენდნენ. რეპრესიებსა და გადასახლებას ვერ გადაურჩნენ ის ადამიანებიც, რომელთაც ოჯახის წევრები ან ნათესავები ჰყავდათ სამღვარგარეთ.

1951 წელს ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა ერთ ჯგუფს ბრალად დასდეს საქართველოდან სამეგრელოს გამოყოფის მცდელობა და ამ მიზნით უცხოეთის დაზვერვასთან კავშირი. „მეგრელთა საქმესთან“ დაკავშირებით დააპატიმრეს მრავალი უდანაშაულო ადამიანი. მსხვერპლი გაცილებით დიდი იქნებოდა, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ბოლოს გონს არ მოგებულებოდა და ეს პროცესიც არ შეეწყვიტა.

ისევ აღმართეს მსახვრალი ხელი,
რეპრესიები ისევ დაიწყეს,
უაშისტთა ტყვეებს მისდგნენ ამჯერად,
მოღვაწეებიც ბევრი აიკლეს.

და გეწოლის ქვეშ მოექცა უმაღ
ხელოვნების და მწერლობის დარგი,
არც მეცნიერებს ედგათ კარგი დღე,
გადასახლების აჰკიდეს ბარგი.

მოსახლეობის დიდ დენადობამ
ქალაქების მსხვილ საწარმოებში
მეურნეობა სულ დასცა სოფლად,
რადგანაც გლეხი იქ დარჩა ობლად.



როგორც გაუწყეთ – სტალინი გახლდათ
მთავარსარდალი საბჭოთა ჯარის,
თუმც ბევრი მისსა დამსახურებებს
თელის ილუზიად, მოგანილს ქარის.

გენერალსიმუსს წოდების მქონე
და ფეხადგმული ჩვენი მხარეთი
პოპულარული გახდა მასებში
პატივსა სცემდა საზღვარგარეთი.

სამ ათეულ წელს ქვეყანა მართა
ამოუცნობი ბუნების მქონემ,
რეპრესიები აგარა, თუმცა
კავის რუსების ამაღლა ღონე.

ის უკანონო მმართველობაში
სიკვდილის შემდეგ ამხილეს მალე,¹³⁴
ეროვნებით რომ ქართველი იყო
ლევ დაუყენეს ქართველებს მწარე.

ახალგაზრდობის დემონსტრაცია
თბილისში სისხლში უმაღლესად ჩაახშეს.¹³⁵
ხალხის მასისგან „დიდი ბელადის“
გამოსარჩლება არად ჩააგდეს.

რეპრესიებში დახვრეტილები
სასტიკ რეჟიმის მსხვერპლად ჩათვალეს,
„პოლიტიკური კურსი შეცვალეს“,
თუმც ძველებურად ხალხი აწვალეს.

სინამდვილეში საბჭოთა წყობამ
მოჩვენებითად იცვალა გარსი,
პოლიტიკური სისტემა მაინც
უცვლელი დარჩა თავისი არსით.

და საბჭოურმა ზიარ ოჯახმა
მის არსებობის შემდეგ პერიოდს
გამოაგდინა კრიზისი დიდი,
„ხალხს აურიბა დრო-ქამი მშვიდი“.

ჩანაგდებოდა ეკონომიკა,
ხალხის ცხოვრების დონე იკლებდა,
ლომუნგებით და მიწერის მანკით,
პარგოკრატია ჯიბეს ივსებდა.¹³⁶

¹³⁴ ეს მოხდა 1956 წელს ყრილობაზე.

¹³⁵ 1956 წლის 9 მარტს თბილისში არმათ სამხედრო გეგმის გამოყენებით უმოწყალოდ დახვრიტა მშვიდობიანი დემონსტრაცია. დაიღვარა მრავალი უდანაშაულო ადამიანის სისხლი. დახოცილთა ოჯახის წევრებს და ნათესავებს მიცვალებულთა დაგორების საშუალებაც კი არ მისცეს.

¹³⁶ იგულისხმება 60-იანი წლების შუა ხანები, 80-იანი წლების დამდეგი.

და ამ კრიზისის გაღრმავების დროს
სულ უფრო მეტად ძლიერდებოდა
ეროვნულ ნიშნით წამოწყებული
მოძრაობები ოდით ქებული.

მაღე მვიაღმა, მერაბ კოსტავამ¹³⁷
გამოუტანეს სისტემას მსჯავრი,
„ჰელსინკის ჯგუფი“ შექმნეს ჩვენს ქვეყნად¹³⁸
და გააჩაღეს გამოსვლა მძლავრი.

ორთავე გზა განვლეს ნარ-ეკლიანი,
მათთვის არ იყო უცხო საკანის,
მაინც იხილა ერმა გმირები
თავისუფლების გზითა მავალი!



მოსკოვის ნების თანახმად მაღე
კონსტიტუციის ახალ პროექტით
ქართული ენა ისევ აკნინეს,
რუსულ ენასთან ძალით არკინეს.

და საპროტესტო დემონსტრაცია
ქართველმა ხალხმა უმაღლეს მოაწყო,¹³⁹
რუსმა „ქვეშევრდომს“ აღარც ამჯერად
„ჩვეული ზრუნვა“ აღარ მოაკლო.

¹³⁷ ეროვნული მოძრაობის ლიდერები მვიაღ გამსახურდია, მერაბ კოსტავა.

¹³⁸ 1976 წელს შეიქმნა „საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი“.

¹³⁹ ქართული ენისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით საზოგადოების დარაზმებაში დიდი წვლილი შეიტანა აკაკი ბაქრაძემ. 1978 წლის 14 აპრილს გაიმართა გრანდიოზული საპროტესტო დემონსტრაცია. ამის ორგანიზებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ასევე სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის ყველა ფენამ. გრაგუდის თავიდან აცილებაში დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს მაშინდელ პოლიტიკურ ლიდერს – ელუარდ შევარდნაძეს, 1995 წლიდან დღემდე ის საქართველოს პრეზიდენტია, რიგით მეორე.

ხელისუფლებამ სამხედრო ძალა
ქალაქ თბილისში გამოიყვანა,
ნეტავ იმ ღროებს, იმ აღმაფრენას,
ერთსულოვნების რომ გვედგა ხანა.

ქართველი ხალხი სისხლის ღვრას ასცდა,
აქ დათმობაზე რუსი წავიდა
და სახელმწიფო ენის სტატუსით
ქართული ისევ ბენიგს ავიდა.

დიდხნის მანძილზე რუსთან ბრძოლაში
ეს გამარჯვება იყო პირველი,
და მოძრაობა ფეხს იკიდებდა,
კვლავ იღვიძებდა ერი ძირძველი.

ამ პერიოდში კვლავ აღორძინდა
ჩვენი მწერლობა, მეცნიერება,
ხელოვნება და სპორტიც გაბრწყინდა,
მათით შევიცანთ, რაც დაგვრჩა წმინდა.¹⁴⁰

„რეფორმატორთა“ მოსვლის შედეგად
საბჭოთა წყობამ სახე იცვალა,
აგონიაში მყოფი, სულ მალე,
თუმც ის ჩვენს თვალწინ გარდაიცვალა.

კრიზისისაგან თავის დაღწევის
მცდელობა მათი მარცხით დასრულდა,
ძირგამომჰალი სისტემის შეცვლის
დიდი ხნის ნაგვრა უცებ ასრულდა.¹⁴¹

მას წინ უძღოდა მედგარი ბრძოლის
საქართველოშიც ყველგან განვრცობა,

ახალგაზრდობას წინ მიუძღოდა
ქვეყნის რჩეული ერისკაცობა.¹⁴²

განხეთილებამ, როგორც ყოველთვის,
აფხაზეთს, ოსეთს იმინა თავი,
რა ვერას გახდა რუსი თბილისთან
სეპარატისტებს აშველა მკლავი.¹⁴³

140 XX საუკუნის მეორე ნახევარში დიდ აღმავლობას განიცდის მექანიერება. ქართული მექანიერების განვითარების კურსი წარმოადგენდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, რომელსაც 1989 წელს მისი დამაარსებლის იანე ჯავახიშვილის სახელი ეწოდა და საქართველოს მექანიერებათა აკადემიის სასტუმროში შემავალი ინსტიტუტები.

ქართული მექანიერების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს კორნელი კეკელიძემ, პაულ იმერთიყვამ, სიმონ ჯაჭიშვილმა, სიმონ ჯანაშიამ, ნიკო ბერძენიშვილმა, შალვა ნუკუბიძემ, საფლე წერეთელმა, კოტე ბაქრაძემ. მსოფლიო მნიშვნელობის მალწევები მათიგანაც გამოდის: ნიკოლოზ მუსხელიშვილიან, ილია ჯეჯუასთან, ვიქტორ კურაშვიტთან და სხვებთან. აგრეთვე დიდი ღვაწლი შეუძღვით მექანიერებს ევგენი ხარაძეს, იანე ბერგაშვილს, ალექსანდრე ჯანელიძეს, რომი შეტრეცელს. გამოჩინულმა ქართველმა მექანიერმა – აკაქო კოსმა ალუკო თავედიძემ მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენებით გაამდიდრა ფიზიკის მექანიერება.

ქართული პიეზიკა და პროზა დაკავშირებულია გალაკტიონ გაბიძის, შალვა ღაღიძის, გიორგი ლეონიძის, იოსებ ფრინაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, ლეო ქაჩელის, არაკლი აბაშიძის, ვრიგოლ აბაშიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ნოდარ დუმბაძის, გურამ მრეკელიშვილის, რეზა მამულაძის, გურამ ლიხანაშვილის, გურამ ფიჭიაშვილის, თამაზ ქილაძის, თორე ქილაძის, თორე მხაიძის, თეა იოსელიანის და სხვა ქართველი მწერლების სახელებთან.

წარმატებას აღწევს მხატვრები: დავით კაკაბაძე, მისე თითქმის, ლადო გულიაშვილი, ელენე ახელაძეანი, ქეთევან მაღალაშვილი, მოქანდაკეები: იაკო ნიკოლაძე, შერაზ ბერძენიშვილი, ვლადიმერ აბაშვილი, შერაზ წერეთელი, გიორგი იშიაური, კობა გურულაშვილი და არაკლი იშიაურმა საუფუძველო დაუღეს თანამედროვე ქართულ ჭედურ ხელოვნებას.

აღმავლობის განიცდის ქართული მუსიკა. დიდი წარმატება ხვდა ქართულ ბალეტს, ქართული თეატრის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენს მთავარი რუსთაველის და კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრების გახსნისთანავე, ქართული კინო განიცდის დიდ აღმავლობას, კინო და თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა აკაკი ბაქრაძემ.

საორგანოს სხვადასხვა სახეობაში მსოფლიო ასპარეზზე თავი მსახურა ბერძენი ქართველმა საორგანოსტმა, მათ შორის არიან მრავალჯერადი წიგნების ავტორები: ლევან თელავაშვილი, რომან რურუა, ვიკი კარგოშა, როსტომ აბაშიძე, ვახტანგ ბაღვაძე, გურამ საღარაძე, მთავარი ლომიძე, არსენ მეტოქიშვილი, დავით ცინაქიძე და სხვა (გადავით).

მსოფლიო დიდება მიაღწია ქართულმა საჭადრაკო სკოლამ ქალთა ჭადრაკში, რაც წინა გენერაციების სახელთან არის დაკავშირებული, ოლმპიური თამაშების სამ ოქროს მედალს დაუფლა ვიქტორ სანეცევი მძლეოსნობაში, და ბერძენი სხვა.

ბოლო ათი წლის მანძილზე საქართველოს მსოფლიოს ასპარეზზე სახელი გაუთქვამს დავით გოგუაშვილმა, ლარი ხაბეაშვილმა, დავით ხაბაშვილმა, კახი კახიშვილმა, ელდარ კერგანიძემ, გიორგი ასანიძემ, გიორგი კანდელაკმა, შერაზ ვახტანგიძემ და სხვ.

141 1991 წლის 31 მარტს გაიმართა რევოლუციური საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის დაკავშირებით.

1991 წლის 26 მაისს შეიდა გამსახურდია არჩილს საქართველოს პირველ პრეზიდენტად, რომელიც იქნა გადაყენებული ძალის გამოყენების შედეგად, რის გამოც დაიწყო კანონიერი ხელისუფლება.

თბილისში 1991 წლის დეკემბერსა და 1992 წლის იანვრის მოვლენებს ბერძენი ქართველის საიკოხლე შექწერა, სამხედრო გადატრიალებამ დასაბამი მისცა სამოქალაქო ომს ქვეყანაში.

142 ივლისისებზე შეიდა გამსახურდია, შერაზ კოსტავა, გიორგი ჭანტურია, შერაზ ჭავჭავაძე, ირინა საირაშვილი, თამარ ჩხეიძე, არაკლი წერეთელი და სხვა.

143 ივლისისებზე 1989 წლის მარტი, რომელიც სოფ. ლიხნა აფხაზმა სეპარატისტებმა მრავალათასიან თავჯდომარეზზე მიაღეს გადაწყვეტილება საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფისა და მისი რუსეთთან შეერთების შესახებ.

ანგისაბჭოურ დემონსტრაციებს,
მიტინგებსა და აქციებს მრავალს
ვერრა დაუდგა წინ მოძრაობას,
თავისუფლების ბილიკით მავალს.

მთავრობის სახლთან ცხრა აპრილს მდგარი¹⁴⁴
ქართველი ხალხი მძლავრობდა მეტად,
ანექსირების აღიარება
რუსს მოეჩვენა ელვად და მეხად.

ლომუნგთა გრფიალს უკვე ამჯერად
არ მოუწონა ლომუნგი მათი,
რუსული ხიშტის მიმართ ნათქვამი
სურდა ეცვალა „უფროსი ძმითი“.

არ დაახანეს რუსთა რამმებმა, –
ნიჩბებით, გაზით არბიეს ხალხი,
მანდილოსნებიც კი არ დაინდეს –
ისევ შემოსეს სამშობლო თალხით.

მილიციას რომ არ ევაჟკაცა
ხალხი აქ მეტად დაირბეოდა,
გადააფარეს მაშველი კალთა
იმ დღეს განწირულ მოსახლეობას.

მსგავსი სისხლის ღვრა – უსასტიკესი
მოეწყო მოძმე აზერბაიჯანს,
მაღე ლიგვაშიც ხელი აღმართეს
და ხალხის სისხლი იქაც დაღვარეს.¹⁴⁵

144 იგულისხმება 1991 წლის 9 აპრილი, როდესაც აღდგენილ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

145 იგულისხმება ბაქოში 1990 წლის 20 იანვრის და ვილნიუსში 1991 წლის იანვრის სისხლიანი დღეები.

მომიგინგეთა მხეცურმა ხოცვამ
ცხადი გახადა – რომ იმპერია
გახრწნილი იყო, დაემსხვრეოდა
უბადრუკს მალე თავზე ჭერია.

და ერის თვალწინ დაფუძნებული
გაერთიანდა ბევრი პარტია,
საბჭოთა წყობას – თავზე ლაფდასხმულს
უეცრად მწირის ერგო მანტია.

და ქვეყნის საბჭომ – უზენაესმა
რუსეთის მხრიდან სცნო ანექსია,¹⁴⁶
კომუნისტთ დროის სადიდებელი
არარად იქცა ყველა ლექსია.

იძულებული შეიქმნა საბჭო
და არჩევნები გამოაცხადა,
„მრგვალი მაგიდის“ სათავეს მოსვლით¹⁴⁷
ეროვნულ ძალთა ნება გაცხადდა.

ცოცხალი ხნის შემდეგ, რეფერენდუმზე,¹⁴⁸
თავისუფლებამ ფრთა შალა ფართოდ,
და დაკანონდა – იბერთა ცის ქვეშ
ჩვენი ქვეყანა ქართველმა მართოს.

¹⁴⁶ 1990 წელს საქართველოს ოფიციალური ხელისუფლება იძულებული გახდა ანგარიში გაეწია ეროვნული მოძრაობისათვის. საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1921 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტის აქტი რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციად სცნო, ხოლო 1922 წლის ხელშეკრულება საბჭოთა კავშირის შექმნის შესახებ საქართველოს მხრიდან გაუქმებულად გამოაცხადა.

¹⁴⁷ ეს არჩევნები ჩატარდა 1990 წლის 28 ოქტომბერს.

¹⁴⁸ რეფერენდუმი ჩატარდა 1991 წლის 31 მარტს.

ამრიგად, ჩვენთან – საქართველოში
გავხდით მოწმენი ახალ პრაქტიკის,
მშვიდობიანად სისტემის შეცვლა,
შედეგი იყო სწორი ტაქტიკის.

საპრემიენგო არჩევნებს მალე
გრიუმით იგებს გამსახურდია,¹⁴⁹
თუმც კრემლთან ერთად კრიჭას ჩაგვიდგა
სეპარატისტულ ოსთა „გუნდია“.¹⁵⁰

გერიტორიულ პრობლემების და
ეკონომიკურ ბლოკადის ძლევა
მოასწავებდა, რომ ცისქვეშეთში
არ ასცდებოდა მამულს დარბევა.

მალე ხიშტების გამოყენებით
ისევ დაამხეს ძალაუფლება,¹⁵¹
სამოქალაქო ომი დაიწყო, –
ეშმას აჩრდილმა ერი აიკლო.

აქ მახსენდება ბაზალეთის ტბა –
ფურცელი ქართულ მაგიანისა,
ერთმორწმუნეთა ძმათა ჭიდილი¹⁵²
წაქეზებული ბნელ საგანისა.

149 1991 წლის 26 მაისს პირდაპირი საპრემიენგო არჩევნების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრემიენგო გახდა გიად გამსახურდია.

150 1990 წლის დეკემბერში სამხრეთ ოსეთში ჩაგარდა არჩევნები, რომელშიც ქართულ მოსახლეობას მონაწილეობა არ მიუღია. არჩევნების შედეგებზე დაყრდნობით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სეპარატისტულმა ხელმძღვანელობამ სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა, რითაც კვლავ უხეშად იქნა ხელყოფილი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

151 1991 წლის დეკემბერსა და 1992 წლის იანვარში თბილისში სამხედრო ძალის გამოყენებით დაემხო კანონიერი ხელისუფლება.

152 იგულისხმება ბაზალეთის ბრძოლა, რომელიც მოხდა 1626 წლის გვიან შემოდგომაზე, სადაც პირისპირ დადგა ქართული და კახეთი.

სადაც პირისპირ მდგომმა თვისგომმა,
აღარ დაინდო ერი და ბერი,
და დაიმარხა იდეა, რასაც
ერთიან ქვეყნის ჰქვია სახელი.

ძმათაშორისი ეს ღენთიანი
კვლავ ომის სუნი აგარდა ცაზე,¹⁵³
ხოლო ამ ომის წამქეზებლებს კი
ღმერთი მოჰკითხავს ამ ქვეყანაზე.

„მხოლოდ ქართველ კაცს თუ ემარჯვება
ღვიძლი მოყვარის განადგურება“,
ძმათამკვლელ ომში ნათლად გამოჩნდა
იბერთა მოღვმის რთული ბუნება.

ნუთუ არ გვეყო მაგალითები,
თუ რასა იმკის ურთიერთმგრობა?!
დღესაც ხომ თითქმის ასე ვართ ყველა,
ნანაგრი გახდა ძმებს შორის ძმობა!!!



ეს ბინძური პოლიტიკა
სახეს გალახით დაგისვრით,
შიგ ღორივით ამოგსვრის და
მერე სანაგევზე გისვრით!

ის მივანდოთ სამრიანებს,
ვისაც უძგერს წრფელად გული,
ხალხისათვის ვინაც იღვწის, –
რომ აღორძინდეს მამული!

153 იგულისხმება 1992–1993–1994 წლები.



მაღლე აუხაბეთს აგორდა ცალდა,
სეპარაგიმშმა იმარჯვა იქაც,
მომხდურთა ხროვამ, გადამთიელთა
ქართველთა სისხლით შეავსო ჭიქა.

და ამის გამო ბევრი ოჯახი
საქართველოში ძაბით მოიცვა,
კარბე მომდგარმა სილუხჭირემ კი
სამშობლო ჩვენი გოდვით მოიცვა.

და ყველა რჯულის ელემენტებმა,
რუსეთთან ერთად, აქ შეკრეს პირი,
ახლა თითქოსდა „მშვიდობას“ იცავს, –
მაინც იღვრება უმანკო სისხლი.

რამდენიმეჯერ კიდევ დაგებომბა,
და დაშინება სცადა ამითი,
თუმცა შემდეგ კი „კარგის“ მდომელმა
ჩვენ მოგვიხადა ისევ ბოდიში.

და ამის შემდეგ „ძმობას“ გვპირდება,
გვემუქრება და ხრიკებს გვიგონებს,
არ სურს გვიხილოს თავისუფალი,
ამ სამყაროში მძლავრად მავალი.

მეგობრობა და ძმური კავშირი
ქართველ ხალხს რუსთან როგორ არ უნდა,
ოღონდ, როგორც ძმა და თანასწორი...
მაშინ ვიქნებით ჩვენ ერთად მუდამ.

ამგვარ საქმეში ერია რუსიც,
უპირველესად რუსთა მთავრობა,
თვით ხატთან თბილი ურთიერთობა
ოღითგან მოგვდგამს ყველა თაობას.



დღემდე გაურკვევე ვითარებაში
მოგვიკვდა გვიაღ გამსახურდია,¹⁵⁴
რაც უახლესი საქართველოსთვის
დარჩება მუდამ ეს გრაგელიად!



მაღე ლტოლვილთა გალდამ იფეთქა¹⁵⁵
და კორუფციაც მძვინვარებს მძლავრი,
შიმშილის შიშმა თვით სულით დასცა
განაწამები – ბელშავი ხალხი.

ეკონომიკურ სიდუხჭირეში
შობადობამაც იკლო საგრძნობლად,
და ემუქრება დედ-მამას ქართველს
უშვილძირობა, დარჩენა ობლად.

უყურადღებოდ დღემდე ბევრია
სარკენი ერის – მუზეუმები,
და ნგრევის პირას უკვე მისული
მივიწყებული ეკლესები.

¹⁵⁴ იგულისხმება 1993 წლის დეკემბერი.

¹⁵⁵ აუხაზეთიდან გამოიღვენა დაახლოებით 300 ათასი ქართველი და სხვა ეროვნების მოქალაქე.

რაიც გვაშორებს წინაპართ წარსულს,
სად ნადგურდება ფასეულობა,
ვაი რომ მერმის ველარ ვიხილავთ
ჩვენს დიდ ეროვნულ განძეულობას.

ბევრი უმსგავსო გადაცემებით
უმნეობამაც ფრთების შლა იწყო,
ჩვენ ტრადიციებს შემოუტია,
ქართულის ჩქეფამ ძალუმად იკლო.

პროსტიტუციამ, ნარკომანიამ
საუბედუროდ წაღეკა მხარე,
კრიმინალებმა აიკლეს ხალხი,
დღე დაუყენეს ბევრ ოჯახს მწარე.

თუმც ნაწილობრივ ეს აღიკვეცა,
ამწესეს საკანს ფირალი ბევრი,
მაგრამ დღეს ციხეს ხალხი „ბინადრობს“
უსამართლობის რომ ერგოთ სვედრი.

თუ ზურგს შევაქცევთ ჩვენს ადათ-წესებს,
რომელიც მოჰყვა ქართველ კაცს დღემდე,
ვერ შევაჩერებთ გაღამენებას
განგაშის გამო თუნდ ბოლთას ვცემდეთ.

ახალგაზრდობა გადაიხვეწა
საზღვარგარეთში ლუკმის შოვნაში,
ჩვენთან, ქუჩებში, კი წააწყდები
უძღურ მოხუცებს ნაგვის ქექვაში.

ახალგაზრდობას გაეწირავთ,
თუ დროზე მათ არ მივხედეთ,
და სამშობლოს სიყვარულით
გულები არ ავუძგერეთ!

ბევრ ბავშვს ერგო, სამწუხაროდ,
მაწანწალას მწარე ხვედრი,
ასე თუ გაგრძელდა კვლავაც
ალარ გვაპატიებს ღმერთი!

გული ცივი რად გაგვიხდა,
დაგვეშალა ჩვენ ერთობა,
გავიხსენოთ ის ლაზათი,
უწინ ჩვენში რომ მეფობდა.

გამოეფხიზლდეთ, უკვე დროა,
ხალხნო ერთმანეთს ნუ ვჯიჯგნით,
იმ ტოტსა ვჭრით ჩვენი ხელით,
რომელმედაც ჩვენვე ვჯდებით.

ამისათვის, ჩემო ძმებო,
სიყვარული მეტი გვმართებს,
დროზე მივხედოთ ქვეყანას!
უგულობა ერს არ არგებს!

წლების მანძილზე დაჩაჩანაკდა
სოფლად მცხოვრები მოსახლეობა,
გადამთიელთა ნარბევს მიაგავს
ბედშავ გლეხკაცის მეურნეობა.

ფაბრიკა-ქარხნებს მოელო ბოლო,
ჯართად გადიქცა შრომის სიმბოლო,
და საზღვარგარეთ გაჰყიდეს იგი, –
ტყეც მიაყოლეს ძალუმად დიდი.

უსახსრობამ კი ქართველი კაცი
ნათესავისგან გარიყა სულმთლად,
სტუმართმოყვრობით მუღამ ქებული
წელში ვერ არის დღეს გამართული.

აქვე მინდა ვთქვა, საბედნიეროდ,
მამულიშვილნი გამოჩნდნენ ჩვენთან,
ლაყობის ნაცვლად ხალხზე ზრუნავენ,
გაჭირვების ქამს რომ დგანან ერთან.

თუმც არ მივსგირი მე ძველ ღროებას,
მაგრამ ერთი რამ იყო წარსულში –
ქართველი მოძმეს ჰყვარობდა იმ ქამს
და გაზაფხული იდგა ამ გულში.



დღეს, რაც ქართველზე ტანჯვა გრიალებს
ეს „მოჭიკჭიკედ“ ნამოღვაწია,
ქართველი კაცი სულმთლად გასწირეს...
ეს არის მათი დემოკრატია?!

ისმის შეკითხვა – ქართველი ხალხი
რისთვის დაგოვეს ასე უმწეოდ,
რისთვის დაშალეს ის ნაშენები
ახლის შენება თუ არ შეეძლოთ?!

თქვენ გეკითხებით „მოჭიკჭიკენო“,
პასუხს რითი სცემთ შთამომავლობას?!
ხალხის ღოვლათი გააცამტვერეთ,
მორჩით! გეყოფათ ამპარტავნობა!

დიდ ვარამშია ღღეს საქართველო,
ქართველი კაცი გათანგულია,
გათელილია უფლება მისი, –
ხელისუფლება კი უძლურია!

ასეთ ყოფაში დავკარგეთ რწმენა,
არც ხვალინდელი ღღის იმედია,
დაპირებები – ფუჭი მსჯელობა
გასტეხს ქართველ კაცს, მოწმე ღმერთია.

მადლობა უფალს, ამას ვერ ხედავს
დიდი ქართველი – ჩვენი ილია!



ამ უაღრესად რთულ პირობებში
ზოგიერთ მხარის გასჭრა მცდელობამ,
შეინარჩუნა ამ დროს მშვიდობა
აჭარის კუთხის ხელმძღვანელობამ, –
სადაც ღღესაც ჩქეფს აღმშენებლობა.

და ამისათვის მიღებულ იქნა
ის რეგიონთა ასამბლეაში,¹⁵⁶
და წვლილი დიდი მან შეიგანა
ქართულ კულტურის ამაღლებაში.

¹⁵⁶ 1997 წელს აჭარა მიღებულ იქნა ევროპის რეგიონთა ასამბლეაში, რაც დიდი დამსახურება არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის ბაგონ ასლან აბაშიძის, მემედ აბაშიძის შეილიშვილისა.

ცოტა ხნის შემდეგ ევროპის საბჭოს
წევრად გადიქა თვით საქართველო,¹⁵⁷
„ერას“ რიგებში იმერთა შესვლაც¹⁵⁸
ქართულ გენისთვის არს სასახელო!

თუმცა ქვეყანა გაწევრიანდა
ბლიერ ოჯახში დიდ ერებისა,
მაგრამ მან ღღემღე ვერ მიაღწია
შველას უმწეო დევნილებისა.

უფალს ღიღება! ღმერთთან მივიდა
ათეისტურად აღზრდილი მრევლი,
წმიდა სამება თბილისს აიგო,¹⁵⁹
უწმინდეს საყდრებს ეწვია ბევრი.



თუმც საქართველო ბევრჯერ ყოფილა
განსაცდელის ქამს უფსკრულს მავალი,
დიდი წინაპრის შთამომავლობას
არ გაიმეტებს ღმერთი მაღალი!

მაინც იმედით სულდგმულობს კაცი,
ამ მიწა-წყალზე იმედით დადის,
ღმერთმა იმედი არ მოგვიშალოს,
რომელიც მუდამ სულ ჩვენთან არის!

157 1999 წლის აპრილში საქართველო ევროპის საბჭოს სრულუფლებიანი წევრი გახდა.

158 1998 წელს ევროპის რეგიონთა ასამბლეაში მიღებულ იქნა იმერეთის რეგიონი, რაშიც დიდი ღვაწლი შეიტანა მთიანეთის რეგიონის ხელმძღვანელს ბაგონ თეიმურაზ შაშიაშვილს.

159 სამების ტაძრის მშენებლობა დაიწყო 1999 წელს.

აჰა, დაგვიდგა ნანატრი ქამი –
ოცნება ახლა გვირგვინოსანთა,
დროა შეიკრას ქართველი ერი!
რათა დავძლიოთ გარეშე მტერი!

მჯერა, რომ კვლავაც ავღორძინდებით,
ჩვენი უკუსვლა დროებითია,
გორგასალის და თამარის მოდგმას
გადაშენება არ უწერია!

აღმაშენებლის – მეფე ბრწყინვალის
ერთიანობას ავუბათ მხარი!
და ვინც მათ საქმეს ღღეს დაივიწყებს
შთამომავალთან ექნება ბრალი!

საუბედუროდ, კიდევ ბევრია
სევდანარევი გულით სათქმელი,
ყოველდღიურად რომ ჯიჯგნის სულსა
და იგანჯება ერი – ქართველი.



ღმერთო მაღირსე ჩემი მამული
ერთიანი და თავისუფალი,
ქართველი კაცი წელ-გამართული,
ბედნიერი და აღმა მაგალი!



მამულო, ჩემო საუნჯევ,
იყავი, ხარ და იქნები,
ქართველთა საფიცარი ხარ,
შენი ერთგულნი ვიქნებით!

საქართველოს სიყვარულში
ბევრის ხმალი დაღეულა,
შენი მიწის დასაცავად
ვაჟკაცები დაცემულან!

სამი ათასი წლისა ხარ,
ბერძუხა – უბერებელი,
გლოცავდა, გლოცავს – დაგლოცავს
მრავალკამიერ ქართველი!

03.01.2003 წ.



გამომცემლობის რედაქტორი თამაზ ჩადუნელი
მხატვარი ვლადიმერ (ლადო) შარაშიძე
კორექტორი ნაზი ნიშნიანიძე
ტექნ. რედაქტორი ედიშერ მამალაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა ლელა ლომთათიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად
ქალაქის ზომა
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი
შეკვეთის №
გირაჟი 1000



თენგიზ ცეცხლაშვილი ახლახან გამოჩნდა სამწერლო ასპარეზზე და უმაღლეს მოხვეწა ნაყოფიერი შემოქმედის იმიჯი. ზედიზედ გამოსცა ისტორიულ-ჰეროიკული პოემები „გვირგვინისანი“, და „ჩემი ღელე-ღურდანი“. პირველი მათგანი ფაქტიურად გაღვივებული „ქართლის ცხოვრება“, რომელშიც ასახულია საქართველოს ისტორია სახელმწიფოებრიობის გაჩენიდან უკანასკნელ მეფემდე, გადმოცემულია გვირგვინისანი ზნეობის პიროვნული თვისებები, მათი თავდადება, ღვაწლი და დამსახურება ერის წინაშე. „გვირგვინისანი“ ლალი ენით დაწერილი ისტორიული პოემა და საინტერესოა იკითხება. ამავ ხელწერისაა პოემა „ჩემი ღელე-ღურ-დანი“, რომელშიც საქართველოს განუყოფელი კუთხის, აჭარის, ისტორიაა წარმოჩენილი, მასში ავტორი ლაკონიკურად და დამოუკიდებლად გადმოგვცემს მამულისათვის თავდადებულ

პატრიოტთა – აბუსერისძე ტბელის, სულიმ და შერიფ ხიმშიაშვილების, ქმების მემკლდე და ასლან აბაშიძეების, ჰაიდარ აბაშიძის და სხვათა დამსახურებას მშობელი ხალხის წინაშე. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ სპეციალისტთა შეფასებით ორივე ნაწარმოები, როგორც დამატებითი ლიტერატურა, დაეხმარება მოსწავლეებს საქართველოს ისტორიის მხატვრულად გააზრებასა და შესწავლაში. ისინი ავტორმა ქველმოქმედების წესით საქართველოს სხვადასხვა ქალაქში უკვე ჩამოაოგა, რასაც დიდი რეზონანსი მოჰყვა.

თ. ცეცხლაშვილის ღვაწლს სათანადოდ აშუქებენ ქვეყნის სხვადასხვა მასმედიის საშუალებები, მათ შორის საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი, რადიოს სხვადასხვა არხები და ა.შ.

თ. ცეცხლაშვილი, გარდა ზემოთქმულისა, ჰიმნებისა და ლირიკული ლექსების ავტორიცაა, რაც პოპულარობით სარგებლობს მოსახლეობაში.

ამჯერად ავტორს მკითხველის სამჯავროზე გამოაქვს ახალი ისტორიულ-ჰეროიკული პოემა „უმეფობის ქაშ“, რომელშიც პოპულარული ენითაა აღწერილი საქართველოს ბედკრული ისტორია მეფობის დაკარგვის ხანიდან დღემდე, რასაც იმედია დიდი ინტერესით შეხედება მისი მრავალმხრივი შემოქმედებით დაინტერესებული მკითხველი.

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი
მწერალი ჯემალ ხოფერიძე

ავტორი წინა კრებულის მსგავსად, ამჯერადაც დიდი მადლიერების გრძნობით მოიხსენიებს წიგნის სპონსორს ბატონ ივანე კრედიტკოს, ფირმა „ბასკოს“ პრეზიდენტს და მის კოლექტებს, გამოცემაში გაწეული თანადგომისა და დახმარებისათვის.

მაღე თენგიზ ცეცხლაშვილი მკითხველის სამსჯავროზე გამოიგანს ახალ წიგნს, სათაურით „მამულო ჩემო საუნჯე“.